პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი,
12
ივლისი
1935 წ.
№ 161 (4317)

დღეს ნომერში

— საბჭოთა ბელორუსიის 15 წლისთავი.
— ქ. მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ.
— მარცვლეული კულტურების აღების და დამზადების მიმდინარეობის შესახებ.
— საბჭოთა ბელორუსიის წარჩინებული ადამიანთა წერილი ამხანაგ სტალინს (მე-2 გვ).
— საკოლმეურნეო საკითხებზე — კოლმეურნეობის მიწებს წარამარა არიგებენ. (მე3 გვ.).
— პარაშუტისტ ქალთა დელეგაციის შეხვედრა რომენ როლანთან.
— ი. მოსაშვილი — ქართველი მფ[illegible] [illegible] ბელორუსიაში (მე-4 გვ.).
— პატარა ფელეტონი — ალიმენტ[illegible] (მე-4 გვ.).
— აბისინიის მთავრობა მოითხოვს ერთალიგის საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას.

მოსკოვის რეკონსტრუქციის გენ. გეგმის შესახებ

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც-კის დადგენილება

მოსკოვი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე სტიქიურად ვითარდებოდა, თავისი განვითარების საუკეთესო წლებშიც კი, რუსეთის ბარბაროსული კაპიტალიზმის ხასიათს გამოხატავდა. ვიწრო და მრუდე ქუჩები; მრავალი შესახვევითა და ქუჩაბანდით დასერილი კვარტალები; ცენტრისა და პერიფერიის არათანაბარი გაშენება; ცენტრის დატვირთვა საწყობებით და წვრილი საწარმოებით; დაბალი და ძველი სახლები, და ამავე დროს მათი უკიდურესი შეჭუჩება; სამრეწველო საწარმოების, რკინისგზის ტრანსპორტის, მეურნეობისა და ყოფაცხოვრების სხვა დარგთა უწესრიგო განლაგება —ხელს უშლიან მძაფრად მზარდი ქალაქის ნორმალურ ცხოვრებას, განსაკუთრებით საქალაქო მიმოსვლას, და მოითხოვენ ძირეულ და გეგმაშეწონილ გარდაქმნას.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ი და სსრ კ-ის სახკომსაბჭო აღნიშნავენ, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსკოვის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, რის გამო თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ქალაქის მშრომელთა საარსებო პირობები:— მეტროპოლიტენისა და მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობა; უმნიშვნელოვანესი ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების გაფართოვება; აგება გრანიტის სანაპირო ქუჩებისა და გაუმჯობესებული ქვაფენილებისა, საზოგადოებრივი საცხოვრებელი სახლებისა და სკოლებისა, ფაბრიკა-სამზარეულოებისა და საზოგადოებრივი კვების სასადილოებისა, მექანიზებული პურის საცხობი ქარხნებისა და საცივრებისა, თბოფიკაციის განვითარება, სათბობით მოსახლეობის მომარაგების მოწესრიგება, წყლის მიწოდების ზრდა; ქალაქის [illegible] გაუმჯობესება და სხვ.

მოსკოვის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ამ სამუშაოთა უფრო მეტი მასშტაბი უახლოეს მომავალში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალაქის გაშენების მტკიცე გეგმას, ვინაიდან მოსკოვის მშენებლობის ფართოდ გაშლას, თუ ერთიანი გეგმა არ გვექნება, შეუძლია შემდეგში უაღრესად გაართულოს ქალაქის ცხოვრება და გარდაქმნა.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ და სსრ კ-ის სახკომსაბჭო უარჰყოფენ პროექტებს, რომელნიც გულისხმობენ არსებული ქალაქის, როგორც ძველი დროის კონსერვირებული სამუზეუმო ქალაქის, შენარჩუნებას და ახალი ქალაქის გაშენებას არსებულის ფარგლებს გარეთ.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და სსრ კ-ის სახკომსაბჭო უარჰყოფენ აგრეთვე წინადადებებს, რომ დაინგრეს არსებული ქალაქი და მის ადგილზე აიგოს ქალაქი სრულიად ახალი გეგმის მიხედვით. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს და სსრკ-ის სახკომსაბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ, მოსკოვის გეგმის განსაზღვრის დროს გამოვიდეთ ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის საფუძველთა შენარჩუნებიდან, მაგრამ მოხდეს მისი ხელახალი ძირეული დაგეგმვა ქალაქის ქუჩათა და მოედანთა ქსელის საფუძვლიანი მოწესრიგების გზით. ამ ხელახალი დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი პირობებია: საცხოვრებელი სახლების, მრეწველობის, რკინისგზის ტრანსპორტის და სასაწყობო მეურნეობის სწორი განლაგება, ქალაქის უზრუნველყოფა წყლით (обводнение), საცხოვრებელ კვარტალთა სიმჭიდროვის შემცირება და სწორი ორგანიზაცია, ქალაქის მოსახლეობისთვის ცხოვრების ნორმალური, ჯანსაღი პირობების შექმნა.

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ი და სსრკ-ის სახკომსაბჭო საჭიროდ სთვლიან, რომ ქალაქის ხელახლად დაგეგმვის მთელს მუშაობაში მივაღწიოთ მოედნების, მაგისტრალების, სანაპირო ქუჩების, პარკების მთლიან არქიტექტურულ გაფორმებას; ამასთან საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა აგების დროს უნდა გამოვიყენოთ კლასიკური და ახალი არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები, აგრეთვე საარქიტექტურო-სამშენებლო ტექნიკის ყველა მიღწევა. მოსკოვის გორაკიანი რელიეფი, მოსკოვ-მდინარე და იაუზა, რომელნიც ქალაქს სხვადასხვა მიმართულებით სერავენ, ქალაქის უმდიდრესი პარკები—ლენინის გორაკები, სტალინის სახელობის პარკი, სოკოლნიკის პარკი, ოსტანკის, პოკროვო-სტრეშნევსკის პარკები ხიმკის წყალსაცავით—ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ ქალაქის ცალკეულ ნაწილთა მთელი მრავალფეროვნება, შევქმნათ ნამდვილად სოციალისტური ქალაქი.

ამის მიხედვით, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და სსრკ-ის სახკომსაბჭო ადგენენ; დამტკიცდეს ათი წლისა და უახლოესი სამი წლისათვის ქ. მოსკოვის რეკონსტრუქციის შემდეგი გენერალური გეგმა, წარმოდგენილი მოსკოვის ორგანიზაციების მიერ.

I.

ქ. მოსკოვის დაგეგმვა

1. ქ. მოსკოვის ტერიტორიის ზომის განსაზღვრას და დაგეგმვას საფუძვლად დაედოს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილი არ არის ქალაქ—გიგანტების შექმნა და საწარმოთა დიდი რაოდენობის თავმოყრა ჩამოყალიბებულ მსხვილ საქალაქო ცენტრებში და რომ დაუშვებელია შემდგომ ახალ სამრეწველო საწარმოთა აგება ქ. მოსკოვში.

ამასთან შეფარდებით, შეიზღუდოს ქ. მოსკოვის ზრდის ფარგლები და ქალაქის ტერიტორიის ზრდის გამოანგარიშებას საფუძვლად დაედოს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 5 მილიონი კაცი, ამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული მომსახურების გათვალისწინებით (საცხოვრებელი სახლები, საქალაქო ტრანსპორტი. წყლის მიწოდება და კანალიზაცია, სკოლები, საავადმყოფოები, სავაჭრო ქსელი. სასადილოები და სხვა).

2. რადგან ქ. მოსკოვის ტერიტორია ახლანდელ საზღვრებში (28,5 ათასი ჰექტარი) დატვირთულია შენობებით ქალაქის ცალკეულ ნაწილებში, მჭიდროდ არის დასახლებული და ვერ უზრუნველჰყოფს ქალაქის მზარდი მოსახლეობის ნორმალურ განლაგებას,—აუცილებლად იქნას მიჩნეული ქალაქის ტერიტორიის თანდათანი გაფართოვება 60 ათას ჰექტარამდე.

ქ. მოსკოვის ტერიტორიის გაფართოვება მოხდეს პირველ რიგში ქალაქის სამხრეთ-დასავლეთის მხრივ მომიჯნავე მიწის ფართობთა ხარჯზე, რომელიც მდებარეობს ლენინის გორაკებს იქით მოსკოვ-მდინარის გასწვრივ კუნცევოდან ლენინომდე (ყოფ. ცარიცინო) 16 ათასი ჰექტარი ფართობის რაოდენობით, ვინაიდან ეს საგარეუბნო ტერიტორია საცხოვრებლად ყველაზე უფრო სალია, მაღალია და თავისი მდებარეობით შესაფერისია.

დაიწყოს სამხრეთ-დასავლეთის ახალი რაიონის თანდათანი გაშენება. მოეწყოს წყალსადენი, კანალიზაცია და სხვა კომუნალური საწარმონი მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად. ათწლედის დამლევისათვის ამ რაიონში აიგოს ახალი ბინები 1 მილიონი კვად. მეტრის ფართობით.

გარდა ამისა, ქ. მოსკოვის ტერიტორია გაფართოვდეს აგრეთვე იმ მიწის ხარჯზე, რომელიც მდებარეობს:

ა) ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, შემდეგი მიმართულებით:

იზმაილოვო, დაახლოებით 2.445 ჰექტარი ფართობი.

პეროვო-კუსკოვო, დაახლოებით 2.400 ჰექტარი ფართობი.

ბ) ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემდეგი მიმართულებით:

ტექსტილშჩიკი, რომელიც მდებარეობს რიაზანის გზატკეცილსა და ქ. ლიუბლინოს შუა, დაახლოებით 2.730 ჰექტარი ფართობი;

გ) ქალაქის დასავლეთ ნაწილში სოფ. **[illegible], მნევნიკის, ხოროშევოს, შჩუკინოს** მიმართულებით. 1.700 ჰექტარი ფართობი;

დ) ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში **ტუშინოს, ზახარკოვოს, ავიაქალაქის, ხოვრინოს, ლიხობორის, მედვედკოვოს** და სხვ. მიმართულებით, დაახლოებით 3.100 ჰექტარი ფართობი.

3. მიეკუთვნოს ქალაქ მოსკოვს ქალაქის აშენებისათვის გენერალური გეგმით დასახული ყველა საგარეუბნო ტერიტორია, როგორც ქალაქის სარეზერვო მიწები, რომლებიც მათი გაშენების მიხედვით ქალაქის ზოლში უნდა მოექცნენ. ამ ტერიტორიის ყველა დასახლებული პუნქტი ადმინისტრატიულად დაუქვემდებარდეს მოსკოვის საბჭოს და დაევალოს მას დაუყოვნებლივ შემოიღოს ამ ტერიტორიათა გასაშენებლად მიწის ნაკვეთთა გამოყოფის ისეთივე წესები, როგორიც დადგენილია მოსკოვისათვის, აგრეთვე მიიღოს პრაქტიკული ზომები მწვანე ნარგავთა დასაცავად და სანიტარული მეთვალყურეობის გასაწევად ამ ტერიტორიებზე.

დაევალოთ მოსკოვის საბჭოს და მოსკოვის საოლქო აღმასკომს, მიწსახკომთან ერთად, 3 თვის ვადაში განსაზღვრონ ქ. მოსკოვისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიათა ზუსტი საზღვრები და ქალაქთან მათი შეერთების წესი, და წინადადებანი ამ საკითხზე წარუდგინონ სსრკ-ის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შეიქმნას საცავი ტყე-პარკის ზოლი რადიუსით 10 კილომეტრამდე. ეს ზოლი უნდა შესდგებოდეს თანაზომიერად მდებარე დიდი სატყეო მასივებისაგან, რომელიც იწყება ქალაქგარეთ ტყეებში და რომელიც იქნება სუფთა ჰაერის რეზერვუარი ქალაქისათვის და დასასვენებელი ადგილი მოსახლეობისათვის უნდა დაიწყოს ამ მწვანე მასივთა შეერთება მწვანე ზოლებით ქალაქის ცენტრთან შემდეგი მიმართულებებით: ა) სოკოლნიკის და იზმაილოვოს მწვანე მასივებიდან—იაუზის ნაპირებისაკენ; ბ) ლენინის გორაკებიდან და გორკის სახელობის პარკიდან—მოსკოვ-მდინარის განაპირა ქუჩის გასწვრივ; გ) ოსტანკოს მწვანე მასივიდან—სამოტეკისა და ნეგლინაიასაკენ გარდა დიდი მწვანე მასივებისა ქალაქის ტერიტორიაზე, დაიწყოს ახალი რაიონული პარკებისა და ბულვარების მოწყობა.

სრულ წესრიგში იქნას მოყვანილი, დაგეგმვითა და კეთილმოწყობით, საბაღო და საბულვარო რგოლის საქალაქო ბულვარები, ლენინის გორაკთა პარკი, სტალინის სახელობის იზმაილოვის პარკი, ბუბნოვის სახელობის სოკოლნიკის პარკი, კრასნაია პრესნას, ოსტანკოს პარკები და პოკროვსკო-სტრეშნევოს პარკი, ამასთან გაფართოვდეს იგი და შეტანილ იქნას მის შემადგენლობაში ხიმკინსკის წყალსაცავი.

4. წყალით ქალაქის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნას ვოლგის წყალი, რომელსაც ვოლგა-მოსკოვის არხი [illegible] [illegible], რისთვისაც შეიქმნას წყლის ორი რგოლი: ერთი კლიაზმის წყალსაცავიდან ხიმკინსკის წყალსაცავისაკენ შემდეგი მიმართულებით: აღმოსავლეთის არხი, იზმაილოვის პარკი, ტექსტილშჩიკი, კოჟუხოვოსთან არსებული სამხრეთ ნავთსადგური მდინარე მოსკოვზე გავლით, მეორე—შინასაქალაქო, რომელიც მიიღება ჩრდილოეთის შინასაქალაქო არხის გაყვანის შედეგად, რომელიც ხიმკინსკის წყალსაცავს შეაერთებს მდინარე იაუზასთან მდინარე მოსკოვამდე.

5. მდინარე მოსკოვის სანაპიროები გადაიქცეს ქალაქის ძირითად მაგისტრალად ამასთან ერთად მდინარის ნაპირები მოგრანიტებულ იქნას და სანაპიროების გასწვრივ მოეწყოს ფართო გასასვლელები —ქუჩები პირდაპირი მოძრაობით მთელ მათ მანძილზე.

დამთავრდეს 1938 წლის დამლევისათვის გრანიტის სანაპიროები მდინარე მოსკოვის ნაპირების გასწვრივ ქალაქის ზოლში შელეპიხიდან კოჟუხოვომდე (46 კილომეტრით, იმ 18 კილომეტრის ჩაუთვლელად, რომელიც უკვე აშენებულია და შენდება 1935 წელს) და ამ სანაპიროების გასწვრივ მოეწყოს მოასფალტებული გასასვლელები—ქუჩები 40—50 მეტრის სიგანემდე.

სამი წლის განმავლობაში მოგრანიტებული იქნას წყალსაქცევი არხის ნაპირები რვა კილომეტრის მანძილზე (იმ სანაპიროების ჩათვლით, რომლებიც 1935 წელს შენდება), ამასთან მოეწყოს მოასფალტებული გასასვლელი—ქუჩები 25—30 მეტრის სიგანემდე.

სამი წლის განმავლობაში აშენდეს სანაპიროები მდინარე იაუზას ნაპირების გასწვრივ 20 კილომეტრის მანძილზე და სანაპიროების გასწვრივ მოეწყოს მოასფალტებული გასასვლელი—ქუჩები 25—30 მეტრის სიგანისა.

უახლოეს სამი წლის განმავლობაში გაჩაღდეს სახლების აშენება კრასნაია პრესნას, სმოლენსკის, დოროგომილოვსკის, ბერეჟკოვსკის, პრიჩალნაიას, კოტელნიჩის, ნოვო-სპასკის და როსტოვის სანაპიროებზე და არქიტექტურულად გაფორმდეს ისინი, ხოლო ათწლედის შემდგომ წლებში—მდინარე მოსკოვის, წყალსაქცევი არხის ყველა დანარჩენი სანაპირო და მდინარე იაუზის სანაპიროების ნაწილი მისი შესართავიდან სადოვაიას რგოლამდე. დაიგეგმოს და წვრილი ნაგებობისაგან გაიწმინდოს 1937 წლისათვის ლუჟნიკის ტერიტორია.

1938 წლისათვის წყალსაქცევი არხის გასწვრივ დანგრეულ იქნას წვრილი ნაგებობანი, რათა ამ ადგილზე აშენდეს ჩელუსკინელთა გადარჩენის მონუმენტი და ეს ნაკვეთიც სათანადოდ გაფორმდეს.

შესრულებულ იქნას დრენაჟის, ნაპირების გამაგრების და ლენინის გორაკების დაგეგმვის სამუშაოები.

იმის გამო, რომ მდინარე მოსკოვისა და იაუზის ნაპირები— წყლის გაყვანისა და მოგრანიტების, აგრეთვე მოასფალტებული გასასვლელების მოწყობის შემდეგ საცხოვრებლად ქალაქის საუკეთესო ნაწილი გახდება, იქ აშენდეს მხოლოდ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები.

6. რადგან ქალაქის დაგეგმვას საფუძვლად ედება, ქუჩების ისტორიულად შექმნილი რადიალურ—სარგოლო სისტემა, შევსოს იგი ახალი ქუჩების სისტემით, რომლებიც განტვირთავენ ცენტრს მოძრაობისაგან და საშუალებას მოგვცემენ დავამყაროთ ქალაქის რაიონების პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი ერთმანეთთან ისე, რომ საჭირო არ გახდეს ქალაქის ცენტრში გავლა.

ამის გამო, სანაპიროების პარალელურად მოეწყოს ახალი პროსპექტი, ძერჟინსკის სახელობის მოედნიდან მიმავალი საბჭოების სასახლისა და ლუჟნიკისაკენ და შემდეგ, სპეციალურად აგებული ხიდით, რომელსაც ესტოკადიანი მისასვლელი ექნება. მდინარე მოსკოვისა და ლენინის გორაკების გავლით სამხრეთ დასავლეთის ახალ რაიონში მიმავალი.

საბჭოების სასახლის მიმართულებით პროსპექტის გაყვანისათვის დაწყებულ სამუშაოთა განსაგრძობად 1936 წელს გაფართოვდეს ვოლხონკის ქუჩა ფრუნზეს სახელობის ქუჩასა და ანტიპიევის შესახვევს შუა და 1937 წლისათვის დაინგრეს საცხოვრებელი კვარტალი, რომელიც გამოდის ამ დროისთვის დამთავრებულ საბჭოს სასტუმროს ფასადზე. საბჭოების სასახლის აგების მომენტისათვის დაინგრეს შენობები მოხოვოისა და მანეჟის ქუჩებს შუა, და ვოლხონკას ქუჩასა და ქვის დიდ ხიდს შუა. გათვალისწინებულ იქნას პროსპექტზე მთავრობის დაწესებულებათა შენობების, აგრეთვე საზოგადოებრივი და სამეცნიერო ხასიათის შენობების აგება.

7. წითელი მოედანი ერთი-ორად გაფართოვდეს, ხოლო ცენტრალური მოედნები—ნოგინის სახელობის, ძერჟინსკის სახელობის, სვერდლოვსკის სახელობის და რევოლუციისა—სამი წლის ვადაში გადაკეთდეს და არქიტექტურულად გაფორმდეს.

ჩინეთ-ქალაქის ტერიტორია განთავისუფლდეს არსებული წვრილი შენობებისაგან, ცალკეულ დიდი ნაგებობათა გამოკლებით, და მათ მაგივრად აიგოს სახელმწიფო მნიშვნელობის რამდენიმე მონუმენტური შენობა.

მაღალი გორაკიანი ნაპირი (ზარიადიე) განთავისუფლდეს წვრილი შენობებისაგან, ამ უბანზე აიგოს მრეწველობის სახლის მონუმენტური შენობა და გაფორმდეს მდინარეზე ჩასავალი ადგილები.

8. როგორც ტრანსპორტის, ისე ქვეითად მოსიარულეთა მიმოსვლის გაადვილების მიზნით, დაიწყოს ძირითადი რადიალური და სარგოლო მაგისტრალების შესწორება და გაფართოვება, მათი სიგანე აყვანილ იქნას 30—40 მეტრამდე მაინც. ქუჩების გასაფართოვებლად დაინგრეს ზოგიერთი შენობა და ქუჩებში დაუყოვნებლივ მოისპოს ყვავილნარები და გაზონები, ხოლო ზოგიერთ ქუჩაში მათ გასწვრივ გაშენებული ხეებიც, რომლებიც ავიწროვებენ ქუჩის სიგანეს და ხელს უშლიან მოძრაობას (მაგალითად; მეშჩანის, კალიაევის, დროგომილოვის, ტულის და სხვა ქუჩები).

ყველგან, სადაც კი რგოლები რადიალურ მაგისტრალებს სჭრიან, დაინგრეს ტორპის შენობანი, რომლებიც ბულვართა გასასვლელებს ჰკრავენ, და ამ გზით განთავისუფლებული ფართობი არქიტექტურულად გაფორმდეს.

გაიშალოს ათი წლის განმავლობაში სამუშაოები სამი გაყოლებითი ფართო ქუჩის გასაყვანად, რომელიც მთელ ქალაქს გადასჭრის, რისთვისაც უნდა მოხდეს მთელი რიგი ქუჩებისა და პატარა გასასვლელების შეერთება, შესწორება და გაფართოება. ეს ქუჩები გაყვანილ იქნას შემდეგი მიმართულებებით:

პირველი—იზმაილოვის პარკიდან ლენინის გორაკებამდე ახალ სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიისაკენ, ამასთან ლენინის გორაკებზე მოეწყოს ცენტრალური საქალაქო პარკი და ამ ტრასზე გამოყენებულ იქნას ყოფილ ჩერკასის, პრეობრაჟენსკის, სტრომინკის, რუსაკოვის, წითელი გუბის, კალანჩის და კიროვის ქუჩები, სათეატრო გასასვლელი, ოხოტნი-რიადი, მოხოვოის, ვოლხონკის, ოსტოჟენის, ჩუდოვკის ქუჩები ხამოვნიკის პლაცი, დიდი კოჩკის ქუჩა და ლუჟნიკოვი.

მეორე—ვსეხსვიატსკიდან ლენინგრადის გზატკეცილით სტალინის სახელობის ქარხნისაკენ, ამ ტრასზე გამოყენებულ იქნას ლენინგრადის გზატკეცილი, გორკის სახ. ქუჩა, კუზნეცკის ხიდი, პუშეჩნაია ქუჩა, ახალი და ძველი მოედანი; სოლიანკის, იაუზის, ინტერნაციონალის, რადიშჩევის, დიდი კამენშჩიკოვის ქუჩები. კრუტიცკის თხრილი, სიმონოვის თხრილი, ველოქარხნის ქუჩა და ტიუფელის ბულვარი.

მესამე—ოსტანკინოს პარკიდან მარინის [illegible] — გავლით [illegible] ჩინეთ-ქალაქის, ბალჩუგის, დიდი და პატარა ორდინკის, ლოხინოვკის, [illegible], დიდი ტულის მიმართულებით სერპუხოვის გზატკეცილისაკენ.

9. ცენტრალური მოედნების გარდა, გადაკეთდეს შემდეგი საქალაქო მოედნები, სადაც პირველ რიგში აიგოს არქიტექტურის მხრივ კარგი შენობები: ვაგზლის მოედნები და მათი მისასვლელები—კომკავშირისა და კიევის მოედნები—კურსკის და სარატოვის ვაგზლებთან, სავიოლოვისა —ბელორუსია-ბალტიის ვაგზალთან, კრესტოვის ზასტავა, არბატის, სმოლენსკის, საბჭოთა, პუშკინის და ტრიუმფალური მოედნები—სოკოლნიკის წრესთან, კომუნის, ყირიმის, წითელკარიბჭის, ტაგანის, გლეხის, 1905 წლის სახელობის, პრეობრაჟენსკის, ოქტომბრის, დობრინინის და კალუგის ზასტავები. მოედანთა დაგეგმვისა და გაფორმების დროს უზრუნველყოფილ იქნას განიერი გასასვლელი და გათვალისწინებულ იქნას მიმოსვლისთვის შეკრულ ადგილთა გამოყოფა მოედნებზე, ავტომანქანების გასაჩერებლად.

10. ძირითადად მოწონებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ქუჩის ძირითად მაგისტრალთა მომწესრიგებელი წითელი ხაზები, რომლებიც აგრეთვე რეგულატური წესით ითვალისწინებენ:

ა) ახალი რადიალური ქუჩების გაყვანას ქალაქის აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში: ქუჩას ნოგინის სახელობის მოედნიდან **პროლეტარსკაიას** ზასტავისაკენ; ქუჩას იაუზის კარიბჭიდან სტალინის სახელობის ქარხნისაკენ და ქუჩა პოკროვის კარიბჭიდან კურსკის ვაგზლისაკენ;

ბ) ძველი რადიალური, მჭიდროდ გაშენებული და მოძრაობით დატვირთული ქუჩების—კიროვის ახალ ქუჩის და ახალ-არბატის ქუჩების პარალელურ ქუჩათა გაყვანას.

11. გაყვანილ იქნას შემდეგი ახალი სარგოლო მაგისტრალები:

ა) **ცენტრალური ნახევარრგოლის** მაგისტრალები ხაზით სახ-გლინიშჩევსკის შესახვევი—დიდი კომკავშირული შესახვევი—ფურკასოვის შესახვევი — კუზნეცკის ხიდი—სამხატვრო თეატრის შესახვევი—ოგარევის სახელობის ქუჩა; გამოსავალი კროპოტკინის მოედანზე.

ბ) **ბულვარის რგოლის გაგრძელება ზამოსკვორეჩიეში.**

გ) **ახალი ბულვარის რგოლი**, ძირითადად კამერ-კოლეჟის გორაკის სტრასის გამოყენებით.

დ) **ახალი პარკის რგოლი**, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ქალაქის მასივებს: ოსტანკინოს, სოკოლნიკის, იზმაილოვო, ვვედენსკის გორაკები, ლენინის გორაკები, ლუჟნიკი, კრასნო-პრესნენსკის პარკი, პეტროვსკის და ტიმირიაზევის პარკები.

12. გათვალისწინებულ იქნას პერსპექტივაში რეგულატური წესით, სატრანსპორტო მოძრაობისაგან ქალაქის ცენტრის განსატვირთავად, შემდეგი ქუჩების გაყვანა, რომლებიც პირდაპირი მიმართულებით ერთმანეთთან დააკავშირებენ ქალაქის საკვანძო პუნქტებს და რაიონებს:

ა) მაგისტრალისა, რომელიც სწორი ხაზით აერთებს ბელორუსია-ბალტიის ვაგზლის მოედანს კომკავშირის მოედანთან;

ბ) მაგისტრალისა, რომელიც სწორი ხაზით აერთებს ბელორუსია-ბალტიის ვაგზლის მოედანს კიევის ვაგზლის მოედანთან;

გ) მაგისტრალისა, რომელიც სწორი ხაზით აერთებს კომკავშირის მოედანს აბელმანოვსკაია ზასტავასთან პროლეტარულ რაიონში.

დ) მაგისტრალისა, რომელიც პირდაპირი ხაზით აერთებს ფრუნზეს, ლენინის, კიროვის და პროლეტარულ რაიონებს შოლონის-ოქტომბრის მოედან-სტალინის სახელობის ქარხნის ხაზით.

დაევალოს მოსკოვის საბჭოს დამტკიცებული წითელი ხაზების საფუძველზე ერთი წლის განმავლობაში დაამუშაოს და დაამტკიცოს ქალაქის იმ ქუჩებსა და მოედნებზე შენობების აგების დეტალური გეგმები, რომლებიც უნდა გაფორმდნენ მახლობელი ათი წლის მანძილზე.

13. ქალაქის 5 მილიონიანი მოსახლეობის ნორმალური [illegible] და საცხოვრებელი კვარტალის სწორი ორგანიზაციისათვის დაწესდეს ქალაქის შენობების აგებისა და დასახლების შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ა) ახალი კვარტალების დაგეგმვისა და გაშენებისა, აგრეთვე მოსკოვის ახლანდელი კვარტალების ხელახლა დაგეგმვის დროს, 1½—2 ჰექტარზე აშენებული წვრილი კვარტალების ნაცვლად, რომლებზედაც მიჯრით აგებულია (50—60 პროც.) პატარ-პატარა სახლები, და რომლებიც დასერილია მაგისტრალების გადამკვეთი დიდძალი შესახვევებით,—აშენდეს მსხვილი კვარტალები 10—15 ჰექტარის სივრცეზე.

ბ) კვარტალების შენობათა აგება მოხდეს მცირე რაოდენობის მსხვილი სახლების აგებით, რომლებიც ერთმანეთს ერთგვარი მცირე მანძილით იქნებიან დაშორებული კვარტალის უკეთ განათებისა და ჰაერის გაწმენდის მიზნით.

გ) ქალაქის ტერიტორიაზე შენობების აგება განხორციელდეს მოსახლეობის სიმჭიდროვის თანდათანობითი შემცირების ანგარიშზე; ეს სიმჭიდროვე, მიუხედავად საშუალო სიმჭიდროვისა (850 კაცი საცხოვრებელი კვარტალის ერთ ჰექტარზე) ამჟამად „საბაღო რგოლის" მიდამოებში საცხოვრებელ კვარტალთა თითო ჰექტარზე აღწევს ათას კაცზე მეტს. სიმჭიდროვე პერსპექტივაში თანაბრად მთელი ქალაქისათვის დაყვანილ უნდა იქნას 400 კაცამდე საცხოვრებელი კვარტალის ერთ ჰექტარზე. ცალკეულ ყველაზე უფრო მარჯვე და საცხოვრებელი შენობებისათვის უფრო გამოსადეგ რაიონებში (მაგალითად სანაპირო ქუჩებზე) დასახლების სიმჭიდროვე შესაძლებელია დაშვებული იქნეს 500 კაცამდე საცხოვრებელი კვარტალის თითო ჰექტარზე. ოღონდ ეს უნდა მოხდეს სახლების სართულების მომატების ხარჯზე;

დ) დაშვებულ იქნეს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აგება სიმაღლით არა ნაკლებ ექვსი სართულის, ხოლო ფართო მაგისტრალებზე და ქალაქის ისეთ პუნქტებში, რომლებსაც ესაჭიროებათ უფრო მკაფიო და პარადული გაფორმება (სანაპირო ქუჩებზე, მოედნებზე და ფართო ქუჩებზე) აიგოს კიდევ უფრო მაღალი— 7—10—14 სართულიანი სახლები.

14. ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით უკეთ მომსახურების მიზნით, გაჩაღდეს სკოლების, ამბულატორიების, სასადილოების, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების, მაღაზიების, ფიზკულტურული მოედნების და სხვ. ქსელის მშენებლობა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს უმართებულოდ მიაჩნიათ ამ დაწესებულებათა კარჩაკეტილად მოთავსება ყოველ დიდ სახლში და მხოლოდ ამ სახლის მცხოვრებთათვის. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს აზრით—სკოლები, ამბულატორიები, სასადილოები, საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაგები, თეატრები, კინოები, კლუბები, საავადმყოფოები, სტადიონები და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა სახის დაწესებულებანი მოთავსებული უნდა იქნან მთელი რიგი კვარტალების ცენტრში იმ ვარაუდით, რომ მომსახურება გაუწიონ არა ერთი სახლისა, არამედ ათეული სახლების მცხოვრებთ.

15 ქალაქ მოსკოვის ტერიტორიის სწორი ორგანიზაციისა და მოსახლეობის ცხოვრებისათვის ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ მოსკოვიდან გატანილი იქნან ხანძრის მხრივ საშიში და სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით მავნე საწარმონი, აგრეთვე ცალკეული მეტწილად წვრილი საწარმონი, რომელთა მდებარეობა ხელს უშლის ქალაქის ქუჩებისა და მოედნების დაგეგმვას.

16. ქალაქი განტვირთულ იქნას დამხარისხებელი და ტექნიკური სარკინიგზო სადგურებისაგან, რისთვისაც თანდათანობით ისინიც და აგრეთვე შიდასაქალაქო სარელსო საწყობებიც გატანილ უნდა იქნან ქალაქგარეთ.

რკინისგზის ხაზები, რომლებიც თავს იყრიან მოსკოვში, შეერთებული იქნან ერთმანეთთან გვირაბებით, პირველ რიგში გაყვანილ იქნას გვირაბი, რომელიც შეაერთებს კურსკის რკინისგზის ხაზს ოქტომბრის რკინისგზის ხაზთან.

ირგვლივი რკინისგზის ხაზის ერთი ნაწილი გადატანილ იქნას ახლანდელი მისი ტრასის სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. მომავალისათვის გათვალისწინებულ იქნას მეორე ირგვლივი რკინისგზის გაყვანა ქალაქგარეთ, ყველა საბარგო სატრანზიტო სარკინიგზო ნაკადთაგან ქალაქის სრულ განტვირთვისთვის.

ელექტროფიცირებული იქნას მოსკოვის რკინისგზის კვანძის მთელი მოძრაობა პირველ რიგში გარეუბანში.

დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს ამასთან შეფარდებით დაამუშაოს მოსკოვის სარკინიგზო კვანძზე სამუშაოთა რეკონსტრუქციის გეგმა.

II.

მოსკოვის საქალაქო მეურნეობის მშენებლობა და რეკონსტრუქცია

ქალაქ მოსკოვის გაფართოების, ხელახალი დაგეგმვისა და არქიტექტურული გაფორმების დაწესებული გეგმის განხორციელება მოითხოვს მისი საქალაქო მეურნეობის უდიდეს მშენებლობას და რეკონსტრუქციას, რამაც რადიკალურად უნდა გააუმჯობესოს ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები.

დამტკიცდეს მოსკოვის საქალაქო მეურნეობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შემდეგი გეგმა, წარმოდგენილი საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს მიერ ათი წლის პერიოდისათვის (1936—1945 წ.) და უახლოესი სამი წლისათვის (1936-1937-1938 წლები):

1. საბინაო მშენებლობა მოსკოვში ათი წლის განმავლობაში განისაზღვროს 15 მილიონი კვადრატული მეტრის მოცულობით (დაახლოებით 2.500 სახლი), აქედან უახლოესი სამი წლის განმავლობაში —3 მილიონი კვადრატული მეტრის მოცულობით (დაახლოებით 500 სახლი), მათ შორის.

1936 წელს—800 ათასი კვ. მეტრი;
1937 წელს—1 მილიონი კვ. მეტრი;
1938 წელს—1,200 ათასი კვ. მეტრი.

დაწესდეს, რომ საბინაო მშენებლობის ამ პროგრამის არანაკლებ 25 პროცენტისა უნდა განხორციელდეს მოსკოვის საბჭოს ძალებით და სახსრებით.

აშენდეს ექვსი ახალი სასტუმრო 4 ათასი ნომრით. ამას გარდა უახლოეს სამ წელიწადში დამთავრდეს მოსკოვის საბჭოს სასტუმროს შენობა ოხოტნი რიადში „გრანდ-ოტელზე" ნაგებობის დაშენებით და მოთავდეს კიევის ვაგზლის მოედანზე სასტუმროს მეორე რიგი.

2. მეტროპოლიტენის მშენებლობის შემდგომ განვითარებასთან ერთად 1938 წლის დამლევისათვის გადიდდეს მოსკოვის შინასაქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი შემდეგი რაოდენობით:

ტრამვაის ვაგონების რიცხვი—2.650 ცალამდე,
ტროლეიბუსების რიცხვი—1.000 ცალამდე;
ავტობუსების რიცხვი—1,500 ცალამდე
ტაქსების რიცხვი—2.500 ცალამდე.

ათი წლის განმავლობაში გაყვანილ იქნას ტრამვაის ახალი სამგზავრო ხაზები 400 კილომეტრის მანძილზე, მათ შორის სამი წლის განმავლობაში—100 კილომეტრის მანძილზე.

ქალაქის ცენტრში მეტროს, საავტობუსო და სატროლეიბუსო მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით, საჭიროდ ჩაითვალოს ტრამვაის მოძრაობის მოსპობა უფრო დატვირთული ქუჩებიდან და მისი გადატანა ქალაქის განაპირა ქუჩებზე.

4. ალიკვეთოს მოკირწყვლის სხვადასხვაფეროვანება გასასვლელ ქუჩებზე და ტრამვაის ხაზებს შორის, ამასთან გამოყენებულ იქნას ქუჩების მთლიანი ასფალტირება. გარდა აღმართებისა, სადაც შესაძლებელია მოკირწყვლა პატარა ზომის ქვაკუბებით და კლინკერით ქალაქის ფარგლებში ტრამვაის მთელი ლიანდაგი დაგებულ იქნას მტკიცე საფუძველზე: ბეტონის და ღორღისაზე. 10 წლის განმავლობაში მოსკოვის 10 მილიონი კვ. მეტრი ქუჩები და მოედნები მოიკირწყლოს გაუმჯობესებული ქვაფენილებით იმ ვარაუდით, რომ ქალაქის ყველა ქუჩასა და მოედნებზე დაგებულ იქნას ასფალტი. უახლოესი სამი წლის განმავლობაში გაუმჯობესებული ქვაფენილებით მოიკირწყლოს მოსკოვის 2,5 მილიონი კვადრატული მეტრი ქუჩები და მოედნები.

დაწესდეს, რომ ქ. მოსკოვის ქუჩების მოკირწყვლას გაუმჯობესებული ქვაფენილებით, როგორც წესი, წინ უნდა უძღოდეს, წყალსაწრეტების მშენებლობა.

5. მდინარე მოსკოვის ორივე მხარეს მდებარე რაიონებს შორის მიმოსვლის გასაუმჯობესებლად და მდინარე მოსკოვზე ვოლგის დიდი გემების პირდაპირი მიმოსვლის უზრუნველსაყოფად ათი წლის განმავლობაში აშენდეს 11 ახალი ხიდი ბოროდინოს ხიდის დონის სიმაღლეზე (წყლის დონიდან 8,6 მეტრამდე ნიშნით 120) და მოხდეს სამი ხიდის რეკონსტრუქცია, იმავე დონემდე აწევით.

აღნიშნული ხიდებიდან 1938 წლის დამლევისათვის, ამჟამად არსებული 4 ხიდის ნაცვლად. მდინარე მოსკოვზე აშენდეს: 1. ქვის დიდი ხიდი, 2. ყირიმისა, 3. მოსკვორეცკისა და 4. კრასნოხოლმსკისა და სამი ხიდი წყალსაქცევ არხზე.

1. ქვის მცირე ხიდი, 2. თუჯისა და 3. მ. კრასნოხოლმსკის ხიდები. ამავე ვადისათვის აწეულ იქნას მდინარე მოსკოვზე გადებული ხიდები: 1. უსტინსკისა, 2. ნოვო-სპასკისა და 3. მოსკოვ-ბელორუსია—ბალტიის რკინისგზის ხიდი.

ახალ ადგილებზე აგებულ იქნას შემდეგი ხიდები:

1. ხიდი ლუჟნიკიდან ლენინის გორაკებზე საესტაკადო მისასვლელით, რომელიც ქალაქის ახლანდელ ტერიტორიას ლუჟნიკზე გავლით შეაერთებს ახალ სამხრეთ დასავლეთ ტერიტორიასთან, 2. ორი ხიდი მდინარე მოსკოვზე და წყალსაქცევ არხზე ბულვარის რგოლის გასაგრძელებლად საბჭოების სასახლიდან ზამოსკვორეჩიეში; 3 ხიდი მდინარე მოსკოვზე, რომელიც პროლეტარულ რაიონს შეაერთებს კიროვის რაიონთან; 4. ხიდი სტალინის სახელობის ქარხანასთან, დანილოვის არსებული ხის ხიდის ნაცვლად. აშენდეს კრესტოვსკის, ოსტაპოვოს, მიტკოვსკის და ლენინგრადის ლიანდაგ-გაუყვანილობანი. კრესტოვსკის ლიანდაგგაუყვანილობის მშენებლობა დამთავრდეს 1938 წელს.

6. მდინარე იაუზისა და ქალაქის სხვა წყალსატევების წყალით უზრუნველსაყოფად განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები:

ა) 1939 წლისათვის ქალაქის ჩრდილო ნაწილში გაყვანილ იქნას არხი ხიმკინსკის წყალსაცავის შესაერთებლად მდინარე იაუზასთან, რომელიც მდ. იაუზასთან ერთად შექმნის წყლის შინასაქალაქო რგოლს;

ბ) გაფართოვდეს მდინარე იაუზის კალაპოტი 20—25 მეტრამდე;

გ) გაიწმინდოს, წესრიგში იქნას მოყვანილი და წყლით უზრუნველყოფილ იქნას ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყველა გუბურა.

7. მოსკოვის წყალსადენი რომ დროზე იქნას მომზადებული ვოლგის წყლის მისაღებად და მოსახლეობისათვის მის მისაწოდებლად, დაუყოვნებლივ გაჩაღდეს სტალინის წყალსადენი სადგურის მშენებლობა ვოლგის წყალზე, ამასთან მისი სიმძლავრე აყვანილ იქნას 1937 წელს 25 მილიონ ვედრომდე დღე-ღამეში, ხოლო 1938 წელს—50 მილიონ ვედრომდე. შემდგომ წლებში აშენდეს ჩრდილოეთის სადგური ვოლგის წყალზე 50 მილიონი ვედროს სიმძლავრით დღე-ღამეში და პროლეტარსკაიას სადგური ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ—85 მილიონი ვედროს სიმძლავრით დღე-ღამეში. მოსკოვის წყალსადენის საერთო სიმძლავრე 1945 წლისათვის გადიდდეს 180 მილიონ ვედრომდე დღე-ღამეში, ხოლო 1939 წლისათვის — 116 მილიონ ვედრომდე.

8. იმ მიზნით, რომ წყლის მიწოდების მიღწეულ დონესთან შედარებით მოსკოვის კანალიზაციის ახლანდელი ჩამორჩენა მოისპოს, აგრეთვე განვითარდეს კანალიზაცია წყლის მიწოდების დაწესებულ ზრდასთან შეფარდებით,—განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები.

ა) იმ საკანალიზაციო არხების სიმძლავრე, რომლებსაც კანალიზაციის წყლები გამწმენდ ნაგებობებზე გადაჰყავთ გადიდდეს 1945 წლისათვის 120 მილიონ ვედრომდე დღე-ღამეში, ხოლო 1939 წლისათვის—90 მილიონ ვედრომდე.

ბ) გადიდდეს 1945 წლისათვის გამწმენდ ნაგებობათა საერთო სიმძლავრე 100 მილიონ ვედრომდე, ხოლო უახლოესი სამი წლის განმავლობაში—62 მილიონ ვედრომდე დღე-ღამეში.

9. მოსკოვის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მისი თბოფიკაცია. ეს არის ძირითადი საშუალება, რათა ქალაქს არ სჭირდებოდეს, შორიდან მოტანილი სათბობი, მოხდეს სათბობი მეურნეობის რაციონალიზაცია და ქალაქის ელექტრომომარაგების შემდგომი გადიდება.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს და სსრ კ-ის სახკომსაბჭოს აუცილებლად მიაჩნიათ თბოსადგურთა სიმძლავრის გადიდება 1945 წლისათვის 675 ათას კილოვატამდე, ახლანდელი 89 ათასი კილოვატის მაგივრად.

1939 წლის დასაწყისისათვის მოსკოვის თბოსადგურების სიმძლავრე გადიდდეს 275 ათასი კილოვატამდე, რისთვისაც ამ ვადისათვის აიგოს სტალინის თბოელექტროცენტრალი 100 ათას კილოვატიანი, ფრუნზეს თბოელექტროცენტრალი — 50 ათას კილოვატამდე, სტალინის სახელობის ქარხნის თბოელექტროცენტრალი — 25 ათას კილოვატამდე „ბტი"-ს თბოელექტროცენტრალი—1936 წელს—64 ათას კილოვატამდე და მოსკოვის პირველი ჰიდროელსადგური 1937 წელს — 24 ათას კილოვატამდე.

10. ვინაიდან მოსკოვის გაზის ქარხნის სიმძლავრე საკმარისი არ არის ქალაქის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დაევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შორეული გაზმომარაგების განვითარების გზით უზრუნველყოს გაზის მიწოდება მოსკოვისთვის 1945 წელს 600 მილიონ კუბ. მეტრამდე წლიურად. ვიდრე მოსკოვის გაზმომარაგების საკითხი კარდინალურად გადიჭრებოდეს, აუცილებლად ჩაითვალოს რომ, გაზის არსებული ქარხნის სიმძლავრის გადიდებასთან ერთად, მოსკოვის მახლობლად აიგოს და 1938 წლის დასაწყისისათვის ამუშავდეს კოქს-გაზის ქარხანა. რომლის სიმძლავრე უნდა იყოს 200 მილიონ კუბ. მეტრი მაინც წელიწადში. ამავე დროს მანვე უნდა გამოიმუშაოს კოქსი მოსკოვისა და მისი მრეწველობის საჭიროებისათვის.

11. დაიწყოს 1936 წლიდან მოსკოვის მიწისქვეშა ნაგებობათა რეკონსტრუქცია, რისთვისაც გაზის და წყალსადენის მილები, სატელეფონო, სატელეგრაფო, გასანათებელი და ძალოვანი კაბელები დაიგოს ერთიან კოლექტორად, რომელიც საშუალებას მოგვცემს ქვაფენილთა აუცილებლად კონტროლი გავუწიოთ ამ ნაგებობებს, მოვაწესრიგოთ და შევაკეთოთ ისინი.

12. ათი წლის მანძილზე მოსკოვში აიგოს 530 სასკოლო შენობა და უახლოეს სამ წელში—390 სასკოლო შენობა.

ათი წლის განმავლობაში აიგოს, სულ მცირე, 17 საავადმყოფო და 27 დისპანსერი, მათ შორის —უახლოესი 3 წლის განმავლობაში 6 საავადმყოფო და 3 დისპანსერი.

13. ათი წლის განმავლობაში აიგოს მოსკოვში მოსახლეობისათვის კულტურული მომსახურების გასაწევად.

ა) 50 კინოთეატრი, მათ შორის 5 კინო-თეატრი—უახლოეს სამ წელში.

ბ) კულტურის 3 სახლი,, კულტურის საბავშვო სახლი და 7 კლუბი.

14. ვინაიდან საბჭოთა ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა შეუჩერებლად იზრდება, აუცილებლად იქნას მიჩნეული, რომ აშენდეს:

ა) 9 დიდი უნივერსალური მაღაზია მათგან 2 მაღაზია უნდა აიგოს უახლოესი 3 წლის განმავლობაში;

ბ) 5 მაცივარი, სულ 50 ათასი ტონის ტევადობით, მათგან ორი მაცივარი—უახლოესი სამი წლის განმავლობაში.

ვ) კაპიტალური ბოსტნეულ საცავები მიწის ქვეშ, სადაც უნდა დაეტიოს 600 ათასი ტონა კარტოფილი და ბოსტნეული, აქედან 150 ათასი ტონის დამტევი— უახლოეს სამ წელში.

გ) სამი ელევატორი 175 ათასი ტონის ტევადობით, მათგან ერთი ელევატორი 1937 წელს;

დ) 6 პურის ქარხანა მათგან ერთი— 1937 წელს;

ე) 5 დიდი ფაბრიკა საზოგადოებრივი კვების სასადილოებისათვის ნახევარფაბრიკატთა დასამზადებლად, მათ შორის სამი ფაბრიკა—უახლოესი სამი წლის განმავლობაში.

15. სატვირთო მოძრაობისაგან ქალაქის ცენტრის განსათავისუფლებლად, საბაზისო საწყობები გატანილ იქნას ჩინეთ-ქალაქისა და ბულვარის რგოლის ფარგლებიდან.

16. ქ. მოსკოვის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა მიღებული პროგრამის შესასრულებლად, რაც დაკავშირებულია სახლების დანგრევასთან და იქ მცხოვრებთა გადასახლებასთან,—დაევალოს მოსკოვის საბჭოს შექმნას სპეციალური სამანევრო საბინაო ფონდი 100 ათასი კვადრატული მეტრის ოდენობით.

17. მოსკოვის მშენებლობასა და დაგეგმვაში, რომ უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე დისციპლინა და ტერიტორიის გაშენების სრული შეფარდება ქალაქის დამტკიცებულ გენერალურ გეგმასთან, დაწესდეს:

ა) მშენებლობა ქ. მოსკოვის ტერიტორიაზე და ქალაქისათვის გამოყოფილ სარეზერვო ტერიტორიაზე, უწყებრივი ქვემდებარობის მიუხედავად, შეიძლება მხოლოდ მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით, მისი კონტროლითა და მოსკოვის საბჭოს მოთხოვნათა ზუსტად შესრულებით;

ბ) ყოველგვარი მშენებლობა ქ. მოსკოვის ტერიტორიაზე შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ შენების გეგმებს და აშშენებლობის არქიტექტურულ პროექტებს მოსკოვის საბჭო დაამტკიცებს და მასთან შეთანხმებული იქნება.

18. ძირითადად დამტკიცებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს პროექტი დადგენილებისა ქ. მოსკოვის გაშენების წესების და წესრიგის შესახებ, ამასთან დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დააზუსტოს იგი და ამ საკითხებზე შეიტანოს სათანადო ცვლილებანი მოქმედ კანონმდებლობაში.

19. მოსკოვის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაო 10 წლისათვის (1936-1945 წ. წ.) და უახლოეს სამი წლისათვის (1936-1937-1938 წ. წ.) შეტანილ იქნას სათანადო წლიურ და ხუთწლიან გეგმებში.

20. დაევალოს სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საკ. კ.პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტთან და მოსკოვის საბჭოსთან ერთად, განსაზღვროს და ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად შეიტანოს იმ ასიგნობათა ოდენობა, ფულად საშუალებათა და მატერიალურ ფონდთა გაცემის ვადები და რიგითობა, რომლებიც აუცილებელია ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა გეგმის განსახორციელებლად.

სსრკ-ის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ხაზს უსვამენ, რომ მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ფორმალურად შეასრულონ ქ. მოსკოვის რეკონსტრუქციის გეგმა, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ ააშენონ და შექმნან მაღალხარისხოვანი ნაგებობანი მშრომელებისათვის, რომ მშენებლობა სსრკ-ის დედაქალაქში და მისი არქიტექტორული გაფორმება მთლიანად გამოხატავდნენ სოციალისტური ეპოქის სიდიადეს და სილამაზეს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ (ბ) ც. კ. დარწმუნებული არიან, რომ მოსკოვის ბოლშევიკები, საბჭოთა ორგანიზაციები, ინჟინრები, არქიტექტორები და მშენებელი მუშები, რომლებსაც მაღალხარისხოვანი მუშაობის არაერთი და ორი ნიმუში გვიჩვენეს, შესძლებენ ღირსეულად შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

არცერთი ავარია, არცერთი მარცხი!

სოციალისტური ტრანსპორტი მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას. ის სულ მოკლე ხანში ბრწყინვალედ გაიმარჯვებს, მოწინავეთა პირველ მწკრივში ჩადგება. თუ კი ტრანსპორტის პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები, მეთაურები, რკინისგზელთა არმიას ჩაუნერგავენ გამარჯვების ურყევ რწმენას, თუ თვითეული მუშაკი პატიოსნად და კეთილსინდისიერად იმუშავებს, შეასრულებს პარტიის დირექტივას, ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლებს რკინის სახკომის ამხ. კაგანოვიჩის ბრძანების განსახორციელებლად, ტრანსპორტის ნამდვილი უბედურების — მარცხებისა და ავარიების — საბოლოოდ მოსასპობად.

გამარჯვების პირველი მცნება — „**რკინისგზის ტრანსპორტზე რკინის დისციპლინა უნდა იყოს**".

ის უამრავი მარცხი და ავარია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჩვენს ტრანსპორტზე, შედეგია დისციპლინის შესუსტების, უყურადღებობის. მიუხედავად უკანასკნელ ხანებში მიღწეულ უდიდესი წარმატებისა, მომხდარი გარდატეხისა, ტრანსპორტის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი, რომელიც უნდა დავსძლიოთ ბოლშევიკური შეუპოვრობით.

ჩვენი რკინისგზელები ჯერ კიდევ ვერ დაუფლებულან მუშაობის სტალინურ სტილს. მარცხი და ავარია კვლავ მწვავე იარად აჩნევია ტრანსპორტს. შემთხვევები კიდევ არ აღმოფხვრილა, მათი რიცხვი ბევრგან საგრძნობლად არ შემცირებულა.

1934 წლის მარცხების და ავარიების რიცხვმა ამიერ - კავკასიის რკინისგზაზე 5.232-მდე მიაღწია. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ ზარალს მოუტანდა ეს ჩვენს სოციალისტურ ტრანსპორტს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 1.263 მარცხი და ავარია მოხდა. ხოლო აპრილში მარცხისა და ავარიის 430 შემთხვევა იყო, მაისში — 394.

მარცხი და ავარია ამ.-კავკ. რკინისგზას დიდ ეკონომიურ ზარალს აყენებს. ნადგურდება და ზიანდება ორთქლმავლები, ვაგონები, ლიანდაგი; ზოგჯერ ადამიანის მსხვერპლიც არის. აპრილში დაზიანდა 31 ორთქლმავალი, 6 ელექტრომავალი, 107 ვაგონი; რკინისგზის ხაზი გაფუჭდა 1.397 მეტრზე. მაისში ზარალი უფრო გაიზარდა, დაზიანდა 48 ორთქლმავალი, 126 ვაგონი.

რაშია საქმე, ამხანაგო ტრანსპორტელებო? რატომ ვერ მიაღწიეთ იმას, რომ რკინისგზის ლექსიკონიდან სამუდამოდ ამოგეშალათ სიტყვები — „ავარია", „მარცხი"? ნუთუ ეს შეუძლებელია? რა თქმა უნდა, არა! „ტრანსპორტის მუშაკთა უმრავლესობა ფიქრობს მარცხი —ეს სავსებით გადაუდებელი მოვლენაა, — სამართლიანად ამბობს ამხ. კაგანოვიჩი.— აი სწორედ ასეთ განწყობილებათა წინააღმდეგ არის მიმართული მარცხებთან ბრძოლის შესახებ გამოცემული ბრძანების მახვილი, იმისათვის, რომ წარმატებით წავიყვანოთ რკინისგზელთა მილიონები მარცხებთან საბრძოლველად, საჭიროა ძირითად კადრებს— მეთაურებს — ჰქონდეთ გამარჯვების რწმენა".

მარცხების აუცილებლობის „თეორია", ეს კლასობრივი მტრის „თეორიაა". ჩვენს მტრებს ჰსურთ ტრანსპორტის მეთაურებს და თვითეულ რკინისგზელს ჩაუნერგონ რწმენა, ვითომ და შეუძლებელი იყოს მარცხისა და ავარიის მოსპობა.

ამ მავნე „თეორიების" გამანადგურებელი ფაქტები ჩვენში მრავალზე უმრავლესია. ჩვენს ტრანსპორტს ჰყავს ისეთი წარჩინებული ადამიანები, რომლებსაც ათეულ წლების მანძილზე ერთი შემთხვევაც არ ქონია. მათ თავიანთი მუყაითობით, სიფხიზლით მრავალჯერ გადაურჩენიათ რკინისგზა მოსალოდნელ უბედურებისაგან.

აი, მაგალითად, სამტრედიელი მემანქანე **ივანე წიქორიძე**. რა საამაყოა მისი წარსული, რა საამაყოა მისი აწმყო! ამხ. წიქორიძე 38 წელიწადია რაც რკინისგზაზე მუშაობს. 1901 წლიდან იგი განუწყვეტლივ ორთქლმავალზეა. ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონია **არც ერთი მარცხი, არც ერთი ავარია, არც ერთი შემთხვევა!** ამ მაგალითს უნდა მიბაძოს ყველამ, ვინც დაყენებულია სოციალისტური ტრანსპორტის სადარაჯოზე.

ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას მარცხებისა და ავარიების წინააღმდეგ ბრძოლის ის მეთოდი, რომელიც უბრალო აღრიცხვითა და რეგისტრაციით გამოიხატება. საქმეს ვერ უშველის ოქმების, აქტების, მოხსენებების და დასკვნების წერა. აუცილებელია ცალკეულ შემთხვევათა ღრმა ანალიზი, შესწავლა, სათანადო დასკვნების გაკეთება. ამხ. კაგანოვიჩის ბრძანება გზების უფროსებს **პირადად** ავალებს მოჰკიდონ ხელი მარცხებთან ბრძოლას, „არ დაკმაყოფილდნენ ავარიების და მარცხების მიზეზების გამოძიებით და მიიღონ სამეურნეო ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ყველა საჭირო ოპერატიული ზომები, როგორც ავარიების, ან მარცხების რაც შეიძლება სწრაფად ლიკვიდაციისათვის, ისე მათი თავიდან აცილებისათვის".

გამორკვეულია, რომ ავარიები და მარცხები ხშირად ორთქლმავალთა ბრიგადირის აშკარა დაუდევრობით ხდება. ბრიგადები უყურადღებოთ არ ამოწმებენ ორთქლმავლებს, ზოგჯერ სადგურებში უჩვეულო სისწრაფით შედიან. არ იჩენენ წინდახედულობას, სიფრთხილეს. ეს დაუდევრობაა, ბოროტმოქმედება, სახელმწიფოებრივი დანაშაული.

არც ერთი ავარია, არც ერთი მარცხი, — აი, რისთვის უნდა იბრძოდეს თვითეული რკინისგზელი.

საქართველოს
ეროვნული

მარცვლეული კულტურების აღების და დამზადების მიმდინარეობის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ განიხილეს მარცვლეული კულტურების აღების და დამზადების მიმდინარეობის საკითხი. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ა.-კ. სახკომსაბჭომ აღნიშნეს, რომ მარცვლეულის აღების მიმდინარეობის შემოწმებამ ა.-კ. სფს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დაგვანახვა, რომ, 1934 წელთან შედარებით, მარცვლეულის აღებისათვის უკეთ მომზადების მიუხედავად მოსავლის აღების მიმდინარეობას ახასიათებს მთელი რიგი სერიოზული ნაკლი: დამთავრებული არ არის მოსავლის ასაღები ინვენტარის და სალეწი მანქანების, განსაკუთრებით ძნისშემკვრელი მანქანების რემონტი კოლმეურნეობებში; ალაგ-ალაგ აგვიანებენ აღებას, აგვიანებენ ძნების გადატანას და დაზვინვას; არ ხდება აღებული მინდვრების ხარისხობრივი მიღება; მთელ რიგ ადგილებში არადამაკმაყოფილებლად არის ჩატარებული მარცვალსაცავების მომზადება და განსაკუთრებით მათი დეზინფექცია, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და ტრანსპორტის დეზინფექცია. უზრუნველყოფილი არ არის მარცვალსაცავების მშენებლობის ვადაზე დამთავრება კიშლაში (ბაქო), ლენქორანსა და ნახიჩევანში.

იმ მიზნით, რომ შესრულდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი „სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ", ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

წინადადება მიეცათ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და ცენტრალურ კომიტეტებს, ა.-კ. მიწსახკომს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, რაიკომების მდივნებს, რაიმიწგანების გამგეებს და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს დააწესონ პურეულის თავის დროზე აღების ოპერატიული ხელმძღვანელობა, ისე რომ არ დაუშვან პურეულის გადამწიფება, მთლიანად გამოიყენონ კოლმეურნეობათა შრომითი რესურსები მოსავლის აღებისა და გალეწვისათვის, მოსავლის აღების პერიოდში მიამაგრონ რგოლებს (ცალკეული ნაკვეთები, უზრუნველჰყონ პურეულის მასობრივი გადაზიდვა და დაზვინვა, მოაწყონ სალეწი მანქანებით ლეწვა დღისითაც და ღამითაც და უახლოეს დღეებში გამოასწორონ პურეულის გალეწვის ჩამორჩენა მისი აღებისაგან.

უკლებლივ ყველა საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობისათვის შემოღებულ უნდა იქნას ისეთი წესი, რომლის დროსაც მინდორ[illegible] [illegible] მხოლოდ [illegible], რაც შეაგროვებენ და მოფოცხავენ თავთავებს და მას ბრიგადირისაგან მიიღებს კოლმეურნეობის წარმომადგენელი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში —განყოფილებათა გამგეები.

საჭიროა მოეწყოს მოსავლის დაცვა მინდვრებსა და ლეწვის ადგილებზე, გაძლიერდეს სალეწ პუნქტებზე ხანძრისაგან დაცვა, ხოლო ყველა კომბაინზე დაიდგას ცეცხლქრობელები.

საყოველთაოდ უნდა იქნას შემოწმებული კომბაინერებისა და სალეწ მანქანათა მემანქანეების შრომის ანაზღაურების პრაქტიკა და იგი სავსებით უნდა შეუფარდდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 2 ივნისის დადგენილებას.

მარცვალსაცავების მშენებლობა და რემონტი კოლმეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში არსებული სადგომების და სასოფლო საბჭოებში არსებული საწყობების და ბეღლების გამოყენება მარცვლეულის შესანახად — უნდა დამთავრდეს ახალი მოსავლის შენახვის დაწყებისათვის.

დადგენილია ისეთი წესი, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა პურის აწონვა უშუალოდ სალეწ მანქანებთან და ბეღლებში მარცვლეულის მიღების დროს, რისთვისაც ყველა მლეწავი ბრიგადა და მარცვალსაცავები მომარაგებულ უნდა იქნან სასწორებით, აგრეთვე შემოღებულია მიღებული მოსავლის მკაცრი აღრიცხვა.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალეს რესპუბლიკათა მიწსახკომებს სასწრაფოდ დაამთავრონ მოსავლის ასაღები მანქანების რემონტი ჩამორჩენილ რაიონებში.

რაიაღმასკომებს, პარტიის რაიკომებს, მიწგანების გამგეებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ სათესლედ მოუმკელი საუკეთესო ნაკვეთები. მოაწყონ მათი ცალკე აღება და გალეწვა.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ა.-კ. სახკომსაბჭომ გააფრთხილეს ალი-ბაირამლის, საბირაბადის, ქიურდამირის, კაზახის, ყვარლის რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეები და რაიკომების მდივნები, რომ თუ აღნიშნულ რაიონებში უახლოეს დროში არ იქნება მიღწეული გადამწყვეტი გარდატეხა მარცვლეულის თავის დროზე აღების მხრივ, მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნება სასჯელის უაღრესად მკაცრი ზომები.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალეს რესპუბლიკათა (ცენტრალურ კომიტეტებს და სახკომსაბჭოებს, რაიაღმასკომებს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, მიწგანების გამგეებს და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს:

დაუყოვნებლივ შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მავნებლებით (ტკიპათი და ბოგანოთი) დაავადების ლიკვიდაციისათვის, მოაწყონ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწყობთა და ინვენტარის, აგრეთვე ტარის და ტრანსპორტის მთლიანად გაწმენდა მავნებლებისაგან, ჩაატარონ ამისთვის მთლიანი დეზინფექცია, არ დაუშვან პურეულის გალეწვა ძველ კალოებზე, თუ წინასწარ არ იქნა ისინი ამომწვარი, უზრუნველჰყონ დამამზადებელ პუნქტებზე კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ისეთი მარცვლეულის ჩაბარება, რომელიც დაავადებული არ არის ტკიპათი და ბოგანოთი და რომელიც შეეფერება დაწესებულ კონდიციებს;

სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ, რომ სასოფლო საბჭოებში სწორად იყოს დაყენებული იმის აღრიცხვა, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ერთპიროვნული მეურნეობანი, განსაკუთრებით კი კულაკური მეურნეობანი, ამასთან იმ მეურნეობათა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ პურის ჩაბარებას, გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

უზრუნველჰყონ მარცვლეულის გადარიცხვა შინასაკოლმეურნეო საჭიროებისათვის კოლმეურნეთათვის ავანსების მისაცემად პირუტყვის გამოსაკვებად და სხვ., ფაქტიურად გალეწილი მარცვლეულის 10 პროცენტის რაოდენობით, რაც შეიძლება გადიდებულ იქნას 15 პროცენტამდე მოწინავე, კარგად მომუშავე კოლმეურნეობებისათვის);

გულდასმით შეამოწმონ, თუ როგორ არიან მომზადებული დამამზადებელი პუნქტები პურეულის მისაღებად ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ არიან მომზადებული დამამზადებელი პუნქტები პურის ჩამბარებელთათვის კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად (სარაიები, სასადილოები, წითელი კუთხეები, პირუტყვისათვის წყლის დასალევინებელი ადგილები და სხვ.)

წინადადება მიეცა „ზაგოტზერნოს", ამხ. ნერსესოვის პირადი პასუხისმგებლობით, დაამთავროს მარცვლეულის საწყობების მშენებლობა კიშლაში (ბაქო) 1 აგვისტოსათვის, ლენქორანსა და ნახიჩევანში—15 ივლისისათვის და 10 დღის ვადაში სავსებით მოათავოს ძველი საწყობების შეკეთება.

„ზაგოტზერნომ", „ზაკსოიუზმა" და „ზაგოტხლოპკომ" სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ მარცვლეულის მავნებელთა (ტკიპა და ბოგანო) ლიკვიდაციისათვის „ზაგოტზერნოს", სამომხმარებლო კოოპერაციის და „ზაგოტხლოპკოს" ყველა შემსყიდველ პუნქტზე, ჩაატარონ გაუწმენდელი საწყობების განმეორებითი დეზინფექცია, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დეზინფექციის ხარისხს და აკრძალონ მავნებლებისაგან გაუწმენდელი პურეულის მიღება შემსყიდველ პუნქტებზე.

წინადადება მიეცა სახ. ბანკის ამიერ - კავკასიის კანტორას (ამხ. სუპონევს) დააწესოს უსასტიკესი კონტროლი საანგარიშსწორებო მიწერილი სალაროების მთელ სისტემაში და უზრუნველჰყოს ისინი ფულის ნიშნებით, აგრეთვე საჭირო მუშაკებით, ამასთან არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული დამამზადებელ პუნქტებზე პურის ჩამბარებელთა რიგები ფულად ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალეს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს — ამხ. მელაძეს და „ზაგოტზერნოს" — ამხ. ნერსესოვს გაგზავნონ უშუალოდ შემსყიდველ პუნქტებზე ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს და ა.-კ. „ზაგოტზერნოს" მუშაკთა და დამზადებათა რესპუბლიკური კომიტეტების და „ზაგოტზერნოს" მუშაკთა ძირითადი კადრები, ამასთან უზრუნველჰყონ ყველა შემსყიდველ პუნქტზე პურეულის შეუფერხებლად მიღება პურის ჩამბარებლებისაგან, პურეულის დაცვა შემსყიდველ პუნქტებზე გატაცებისა და გაფუჭებისაგან და განსაკუთრებით გულდასმით მოაწყონ ყველა შემსყიდველ პუნქტზე ხანძრის საწინააღმდეგო დაცვა.

საბჭოთა კავშირის და ლიტვის სამშვიდობო ხელშეკრულების 15 წლისთავი

მოსკოვი, 12 ივლისი. გუშინ, 11 ივლისს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **მ. მ. ლიტვინოვმა** საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის 15 წლისთავის გამო ლიტვის ელჩის ბ. ი. კ. **ბალტრუშაიტისის** პატივსაცემად გამართა საუზმე. საუზმეს დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ბ. ს. სტომონიაკოვი,** საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **შ. ზ. ელიავა,** ლიტვის მისიის წევრები და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები. (ადს).

⁂

ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა და ბ. ი. კ. ბალტრუშაიტისმა. სიტყვები მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში. (რედ.).

□ □ □

დეპეშების გაცვლა-გამოცვლა ამხ. მ. ი. კალინინსა და ბ-ნ რუზველტს შორის

მოსკოვი, 11 ივლისი. 4 ივლისს—ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეს სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ დ. რუზველტმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი დეპეშებით. (ადს).

□ □ □

ამხ. იურენევმა ინახულა ხიროტა

ტოკიო, 10 ივლისი. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. იურენევი ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრს ხიროტას. ამხ. იურენევმა აცნობა ხიროტას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ღებულობს ხიროტას 26 ივნისის წინადადებას, რომელიც გულისხმობს სანაპირო კომისიის შექმნას საბჭოთა კავშირისა და მანჯურიის საზღვარზე წამოჭრილი კონფლიქტების მოსაგვარებლად.

ხელშეკრულება სანაპირო კომისიის შექმნის შესახებ განზრახულია დაიდოს ერთის მხრით საბჭოთა კავშირსა და მეორეს მხრივ იაპონიასა და მანჯოუ-გოს შორის. (ადს).

□ □ □

აბისინიის მთავრობა მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას

პარიზი, 10 ივლისი. ჰავასის სააგენტო ადის - აბებიდან იუწყება, რომ აბისინიის მთავრობა მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას იტალია - აბისინიის კონფლიქტის განსახილველად (ადს).

პოლონეთის პარლამენტის დათხოვნა

ვარშავა, 10 ივლისი. გამოქვეყნდა პრეზიდენტის დეკრეტი სეიმისა და სენატის დათხოვნის შესახებ. მოტივირებაში ნათქვამია, რომ ორივე პალატა დათხოვნილია, ვინაიდან მათ შეასრულეს თავისი მთავარი ამოცანა სახელმწიფო წყობილების რეორგანიზაცია. სეიმისა და სენატის ახალი არჩევნების დრო არ არის აღნიშნული (ადს).

□ □ □

ანტიიაპონური დემონსტრაცია ჟურნალ „სინშენის" რედაქტორის პროცესზე

ტოკიო, 10 ივლისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ჟურნალ „ახალი ცხოვრების რედაქტორისათვის გამოტანილი განაჩენის წაკითხვის დროს შანხაის სასამართლო დარბაზში ავრცელებდნენ ანტიიაპონურ ფურცლებს. ამასთან დაკავშირებით, სწერს სააგენტო, იაპონიის გენერალურ საკონსულოს განზრახვა აქვს მოსთხოვოს ჩინეთის ხელისუფალთ ამ საქმის სასტიკად გამოძიება.

შანხაი, 10 ივლისი, შანხაის იაპონურ საკონსულო წარმომადგენლის განცხადებით, თითქოს გამოძიებით დადასტურდა, რომ ჟურნალ „ახალი ცხოვრების" საქმის პროცესზე დემონსტრაციის ხელმძღვანელი იყო გომინდანის შანხაის კომიტეტის წევრი დაო ბე-ჩუანი. იაპონურ [illegible]ებიდან მიღებული ცნობების თანახმად, კვლევა - ძიების მასალა საფუძვლად დაედება ოფიციალურ პროტესტს და ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც ნანკინის მთავრობას წაუყენებენ.

ამავე დროს იაპონელები სულ უფრო და უფრო ბერავენ „ხანკოუში ანტიიაპონური მუშაობის" საქმეს. წინანდელ ბრალდებებს დღეს იაპონიის პრესა უმატებს კიდევ ერთ ბრალდებას იმის გამო, რომ ხანკოუს ერთ გაზეთში დაიბეჭდა „ანტიიაპონური სტატია". „შანხაი მაინიცის" ცნობით, იაპონიის კონსულმა ნანკინში სუმამ გუშინ ტან იუ-ჟენს (საგარეო საქმეთა ვიცე მინისტრს) მოსთხოვა იმ პირთა „სერიოზულად დასჯა", რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხანკოუში ანტიიაპონური აქტივობისათვის (ადს).

ამხ. ს. გარიშვილის ხსოვნას

ძველ მებრძოლთა გვარდიას, საქართველოს კომუნისტურ პარტიას და რკინისგზელთა მუშების რიგებს გამოაკლდა საუკეთესო ამხანაგი ძველი მებრძოლი—რევოლუციონერი ამხ. სტეფანე გარიშვილი.

სამუდამოდ შეწყდა ერთერთი მტკიცე მუშა - ბოლშევიკის მაჯისცემა.

თვითეული ჩვენთაგანი, რომელიც ახლო იცნობდა ამხ. გარიშვილს, მის პირად ცხოვრებას და მუშაობას, დიდად დაამწუხრა მისმა სიკვდილმა.

ამხ. სტეფანე გლეხის ოჯახში დაიბადა. ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის იყო, რომ დაქირავებულ შრომას მიჰყო ხელი და ლითონის ჩამომსხმელის კვალიფიკაცია მიიღო. ამ დროიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდე, იგი არ მოსცილებია თავის საყვარელ დაზგას. ხშირად უთქვამს: „თუმცა განათლება არ მიწყობს ხელს, მაგრამ ეს განათლება რომ მქონდეს კიდეც, მაინც ყველაფერს ჩემი ხელობა და პატიოსანი მუშის სახელი მირჩევნია".

ამხ. სტეფანე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება 1896 წელს, როდესაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშათა გაფიცვებში ტფილისის რკინისგზის მთავარ სახელოსნოში. ის ეწეოდა აგრეთვე აგიტაციას ხაშურის რკინისგზის მუშებშიც; ამისთვის დაატუსაღეს იმავე წელს და ბაქოში გადაასახლეს.

1897 წელს ამხ. ვანო სტურუას და გიორგი რთველაძის რეკომენდაციით შევიდა ბაქოს არალეგალურ წრეში და ამხ. გიორგი ჩხეიძესთან, ჩოდრიშვილთან და სხვებთან ერთად მუშაობს პარტიაში.

1899 წელს მონაწილეობს ბაქოს ლევინსონის ქარხნის გაფიცვაში. 1 მაისს ამხ. ალილუევთან ერთად საერთო დემონსტრაციაზე აფრიალა წითელი დროშა, რის შემდეგ პოლიციამ მას დევნა დაუწყო.

1903 წელს კვლავ აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთო პოლიტიკურ გაფიცვებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ამხ. შაუმიანი, ჯაფარიძე და სხ., რისთვისაც ამხ. სტეფანე დააპატიმრეს.

ამხ. სტეფანე შემდეგშიაც არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული რევოლუციონური მუშაობისთვის, როგორც თვითმპყრობელობის, ისე მენშევიკების დროს.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ის ჩამოდის ტფილისში, მუშაობს რკინისგზის მთავარ სახელოსნოში და ამავე დროს ეწევა პარტიულ მუშაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. გარიშვილს მუდმივ ირჩევენ უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

უკანასკნელად ამხ. სტეფანე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების წევრი იყო, აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და შრომის გმირი.

ამხ. სტეფანეს დაკარგვა დიდი დანაკლისია როგორც კომპარტიისთვის, ისე რკინისგზელი მუშებისათვის.

მშვიდობით ამხ. სტეფანე. შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენს შორის.

თანამებრძოლ ამხანაგთა ჯგუფი:

გ. სტურუა
გ. ჩხეიძე
მ. კვარაცხელია
ნ. მეგრელიშვილი
ს. თოდრია
შ. ლეჟავა
ა. ფირცხალავა
ნ. ლეჟავა
პ. საბაშვილი
ვ. ვაშაკიძე
ს. მასხულია
გ. ლელაშვილი
ი. შენგელია
ბ. ჯიჯელავა
დ. ნასარიძე
ს. ჟღენტი
ანდრო დოლიძე
ვ. სიხარულიძე
გ. თვალჭრელიძე
ი. გელაშვილი
პ. მ. საყვარელიძე
ვ. ბოლქვაძე
ქ. მოდებაძე
თევდორე დოლიძე
ტრდატიანი
ქ. ხომერიკი

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, მტკიცე ლენინელი, რკინისგზის უძველესი მუშა, შრომის გმირი.

ამხ. სტეფანე გარიშვილი

რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლას შესწირა.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ფართო მშრომელ მასას, რომ 10 ივლისს დღის 2 საათზე გარდაიცვალა სრულ. საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების წევრი; ძველი ბოლშევიკი, შრომის გმირი

ამხ. სტეფანე გარიშვილი.

8868

საქართველოს სსრ-ის სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა.-წ. 10 ივლისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, დამსახურებული რევოლუციონერი

ამხ. სტეფანე გარიშვილი.

8870

ა.-კ. შინსახკომის საქართველოს სამმართველოს მ. გ. მილიციის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება ძველ ბოლშევიკი, შრომის გმირის, საქ. მ. გ. მილიციის საპატიო მილიციელის

ამხ. სტეფანე აბასძე გარიშვილის

გარდაცვალებას.

საბჭოთა ბელორუსიის წარჩინებულ ადამიანთა წერილი

ამხანაგ სტალინს

შკლოვსკის რაიონის კამენოლოვსკის სოფლსაბჭოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ცხოვრობს კოლმეურნე არტემ ანდრიას ძე ნოვიკოვი, რომელსაც 102 წელი შეუსრულდა. „არ მინდა სიკვდილი—ამბობს არტემ ანდრიას ძე —მინდა ვიცოცხლო და ვიცხოვრო, მე კოლმეურნეობაში მეორე ახალგაზრდობა ვპოვე" და როცა ამ ზამთარს არტემ ანდრიას ძე ავად გახდა, მან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცენტროვიჩს უთხრა: „მინდა წერილი მივწერო ჩვენს მამას სტალინს. მინდა ყველაფერი ვუამბო და მადლობა გადავუხადო ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც კოლმეურნეობაში ვპოვე. მივწერ აგრეთვე, თუ რა ძალიან მინდა დიდხანს ვიცოცხლო, შეიძლება საშუალებაც მომეცეს პირადად ველაპარაკო სტალინს".

ყოველ ჩვენთაგანში ცოცხლობს ეს სურვილი წერილი მოგწეროთ, ყველაფერი მოგითხროთ, გინახულოთ და გელაპარაკოთ შენ, და როცა კიროვის სახელობის ქარხნის წარჩინებულმა ადამიანებმა ჯერ კიდევ მაისში წამოაყენეს წინადადება მოგვეწერა შენთვის წერილი საბჭოთა ბელორუსიის ყველა წარჩინებულ ადამიანთა სახელით, რა ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა ამან ყველა ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, სკოლებში, ბელორუსიის ყოველ კუთხეში! ჩვენმა კოლმეურნეებმა, რომლებიც დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე იყვნენ, უამბეს ხალხს და შემდეგ გაზეთებშიაც დასწერეს, თუ რა კარგი გულისა ხარ, რა დიდ მზრუნველობას იჩენ ყოველი ჩვენგანისათვის.

რა სიხარულითა და სიამაყით შეხვდა ყოველი ჩვენგანი შენს ასეთ სადა და ასე ბრძნულ სიტყვებს: „ყველა ძვირფას კაპიტალთაგან, რომლებიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები, კადრები".

რა სიყვარულით შეხვდა ყოველი ჩვენგანი შენს შესანიშნავ სიტყვებს იმაზე, რომ საჭიროა უდიდესი მზრუნველობით ვეპყრობოდეთ „პატარასა" და „დიდ" მუშაკებს, მზრუნველობით ვზრდიდეთ მათ, დახმარებას ვუწევდეთ, ვახალისებდეთ, ვაწინაურებდეთ; რომ საჭიროა ადამიანებს ვაფასებდეთ და განსაკუთრებული ყურადღებითა და გულხმიერებით ვუგდებდეთ ყურს, თუ რას ამბობს მუშა, კოლმეურნე, მშრომელი. ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს, რომ პანებს მუშისა, გლეხისა და ღარიბის მისამართავად სხვა სიტყვა არ გააჩნდათ, გარდა სიტყვებისა „ბიდლო" (პირუტყვი) და „პსია კრევ" (ძაღლის სისხლი).

ახლაც იგონებენ მოხუცი კოლმეურნეები, თუ რა ძალდატანებით ერეკებოდა ქოხებიდან ბარონ ვრანგელი გლეხებს თავის მამულ რუდობელკაში (გლუსის რაიონი) ზამთრობით, და იძულებულს ხდიდა ძაღლის მაგივრობა გაეწიათ ნადირობის დროს.

რა დიდი მანძილით დავშორდით ახლა მძაგვრელ წარსულს, წინანდელ ბელორუსიის სოფელს!

ჩვენი ოფლითა და ცრემლით მორწყულ პანების მიწაზე გარიჟრაჟიდან გარიჟრაჟამდე წელმოხრილი მუშაობდა ბელორუსი გლეხი გროშის ფასად.

ვერ ეღირსებიან პანები ამ დროის დაბრუნებას! სამუდამოდ დაეპატრონენ ბელორუსი კოლმეურნეები მიწებს. არც პოლონელ პანებს, არც გერმანელ ფაშისტებს, საბჭოთა საკოლმეურნეო მიწის არცერთ გოჯს არ დავუთმობთ.

სასიხარულო, ბედნიერი, კულტურული და შეძლებული ხდება ჩვენი ცხოვრება, იზრდება ჩვენი ბელორუსი კოლმეურნეების შეძლებულობა.

ახლა ჩვენი მიწაც კი უფრო ნაყოფიერი გახდა. კოლმეურნეობათა ახლანდელ მოსავალს წინანდელი ვერ შეედრება. აი, მაგალითად, მინსკის რაიონის, ნოვოდვორსკის სოფლის საბჭოს კოლმეურნეობის „კრასნი ბორეცის" კოლმეურნეებმა შარშან ჰექტარზე აიღეს 13 ცენტნერი შემოდგომის ჭვავი, 16 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი, 15,5 ცენტნერი შვრია, 17 ცენტნერი გაზაფხულის ხორბალი.

კოპილსკის რაიონის, დრუსის სოფლის საბჭოს სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ჰექტარზე აიღეს 16 ცენტნერი ჭვავი, 18 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი, 24,4 ცენტნერი ქერი, 19,4 ცენტ. შვრია, 169 ცენტნერი კარტოფილი და 4,6 ცენტნერი სელის ბოჭკო.

ბევრ კოლმეურნეობას აქვს საკუთარი ელექტროსადგური. იხსნება სამშობიარო სახლები. ჩვენ ახლა გაგვყავს სანიმუშო გზები და არ გვავიწყდება, რომ ეს გზები ადამიანისათვის არის. ამიტომ ჩვენ ამ გზების ორივე ნაპირას ვაშენებთ ხეებს, ვდგამთ გზებზე და გზაჯვარედინებზე საუკეთესო სკამებს, ვაშენებთ ყვავილნარს.

ბელორუსი გლეხი წინათ სიბინძურესა და ჭუჭყში იღრჩობოდა, უკანასკნელი წლის განმავლობაში კი ჩვენმა კოლმეურნეებმა იყიდეს 5 მილიონი მანეთის ხელის საპონი, ოდეკოლონი, სუნამო. („დუხი").

ბელორუსიაში ყოველი 100 გლეხური მეურნეობიდან 76 გაერთიანებულია კოლმეურნეობაში. 4 ათასზე მეტი ტრაქტორი, ათასობით რთული და ნახევრად რთული მანქანები სალეწი, სათესი, სამკალი მანქანები უმსუბუქებენ გლეხს შრომას და, საფუძვლად დაედებენ ჩვენს საკოლმეურნეო წარმოებას.

ყოველივე ეს ჩვენ მოგვცა, ძვირფასო ჩვენო სტალინ, შენი ბრძნული ხელმძღვანელობით განხორციელებულმა საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ.

წინათ ბელორუსიას არ ჰქონდა თავისი მრეწველობა. იყო მხოლოდ წვრილი, კუსტარული და ნახევრად კუსტარული სახელოსნოები. ახლა უდაბურ ადგილებსა და ჭაობებში გაჩნდნენ გიგანტი—ქარხნები, მოწყობილნი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ენერგიის მძლავრი წყაროები, როგორიც არის ოსინის სტალინის სახელობის რაიონული ელექტროსადგური.

ჩვენ წარმატებით ვეუფლებით ისეთ გიგანტებს, როგორიც არის კოსტიუკოვიჩის მექანიზებული შუშეულის ქარხანა, ბობრუისკის ხისდამმუშავებელი კომბინატი, კრიჩევსკის ცემენტის ქარხანა. სრული დატვირთვით მუშაობს ჩვენი მსხვილი საფეიქრო, სამკერვალო საწარმოები, ტყავისა და ასანთის მრეწველობა.

ბელორუსიის ტორფიანი ჭაობები ემსახურება სოციალიზმს, როგორც სათბობისა და ენერგიის წყაროები.

მრეწველობაში ახლა მუშაობს 120 ათასზე მეტი მუშა, ხოლო რევოლუციამდე მათი რიცხვი რაღაც ორიოდე ათეულ ათას მუშას აღწევდა, ისინიც უმეტესად ნახევრად შინამრეწველები იყვნენ.

ბელორუსებისაგან წარმოიშვნენ წარმოებათა დირექტორების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მაღალი კვალიფიციური მუშების კადრები, რომლებიც „ფრიადზე" დაეუფლნენ ახალ ტექნიკას.

იშვიათი არ არის ბელორუსი მუშის ისეთი ოჯახი, როგორიც, მაგალითად, პაველ ივანესძე გავრილენკოს ოჯახი (რეჩიცა, ვოროშილოვის სახ. ქარხანა). მისი უფროსი შვილი ნიკოლოზი — ბერეზინის ქიმიური კომბინატის მთავარი ინჟინერია, მიხეილი — კონსტრუქტორია; ვოროშილოვის სახელობის ქარხანაში, ქალიშვილი ალექსანდრა — სამთო ინჟინერია, ხოლო ქალიშვილი ელენე — ინჟინერ-ეკონომისტია.

იშვიათი არ არის ისეთი კოლმეურნის ოჯახი, როგორც, მაგ., ორშანსკის რაიონის კოლმეურნეობის „ავანგარდის" ბრიგადირ პეტრე მაგერის ოჯახი, ან როგაჩევის რაიონის კოლმეურნეობის „ნოვაია-ცეს" თავმჯდომარის იაზეპოვის ოჯახი. მაგერს სამი ვაჟი ჰყავს: ერთი კორპუსის მეთაურია, მეორე სამთო ინჟინერი, მესამე—ტანკისტი. იაზეპოვს ხუთი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავს. ვაჟი ონისიმე ტრესტის ხელმძღვანელია მოსკოვში, ვაჟი ეგნატე — როგაჩევის რაიონის მერკულოვიჩის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა, ვაჟი ტროფიმე ათავებს პლეხანოვის ინსტიტუტს, ვაჟი ივანე სწავლობს სამხედრო სკოლაში და მიიღებს წითელ მეთაურობას. ვაჟი იაკობი როგაჩევის მტს-ის ტრაქტორისტია, ქალიშვილი მანია—დამკვრელი კოლმეურნე. თვითონ იაზეპოვი 65 წლისაა არის და მუშაობს მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

რა, ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი და დაბეჩავებული იყო წინათ ბელორუსია!

საბჭოთა ბელორუსია წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. საბჭოთა ბელორუსიას მოეპოვება თავისი სამეცნიერო აკადემია, ათობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოცამდე უმაღლესი სასწავლებელი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, რომლებმაც რევოლუციის წლებში ბელორუსებისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის სხვა ეროვნებათაგან ათასობით გამოზარდეს მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები; ბელორუსიას მოეპოვება ასამდე ტექნიკუმი და ათასობით სკოლა. ჩვენში არსებობს ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის თეატრი, სამი ბელორუსული დრამატიული თეატრი, რუსული დრამა, ებრაული თეატრი, პოლონური თეატრი. გაიზარდა და გაიფურჩქნა ბელორუსიის საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება.

რუსეთის თვითმპყრობელობის ჩამორჩენილი, წერაკითხვის უცოდინარი, ღატაკი კოლონიიდან ბელორუსია, შენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ჩვენო ძვირფასო სტალინ, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა კავშირისა და განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარიატის უდიდესი ძმური დახმარებით, გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ - საკოლმეურნეო, აყვავებულ, ორდენოსან რესპუბლიკად.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ თეთრ პოლონელთაგან ბელორუსიის განთავისუფლების 15 წლის — თავს, ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გააძევა პოლონელი ოკუპანტები. ბელორუსიის ხალხი გმირულად იბრძოდა წითელი არმიის რიგებშიც, პარტიზანთა რაზმებშიც მტრის ზურგში, თეთრი პოლონელების წინააღმდეგ პოლონელ ოკუპანტებზე მოპოვებული გამარჯვების, ისე როგორც სამოქალაქო ომში წითელი არმიის ყველა უდიდესი გამარჯვების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები უშუალოდ თქვენ იყავით ლენინი და შენ, ამხანაგო სტალინ. და ბელორუსიის ხალხი ამას არასოდეს არ დაივიწყებს და ყოველთვის დააფასებს.

რისთვის ილაშქრებდნენ პოლონელი პანები ბელორუსიის წინააღმდეგ? მათ ჰსურდათ ბელორუსიის ხალხი კვლავ დაემონებინათ, ფაბრიკები და ქარხნები კაპიტალისტებისათვის მიწა კი პანებისთვის—ბრწყინვალე მემამულეებისა და კულაკებისათვის დაებრუნებინათ.

თავად რაძივილებს მარტო მინსკის გუბერნიაში 200 ათას დესეტინამდე მიწა ჰქონდათ. და გასაგებია, თუ ახლა ასე გამწარებით რად ქადაგობს პოლონეთში თავადი რაძივილი ახალ ლაშქრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გრაფ ციშკევიჩს 296 ათასი დესეტინა ჰქონდა, გრაფ პატოცკის — 240 ათასი დესეტინა, გრაფ ჩაპსკის — 35,467 დესეტინა, პანსკირმუნტს — 47 ათასი დესეტინა, პან პუსლოვსკის—90 ათასი დესეტინა თავად დრუცკი - ლუბეცკის — 23 ათასი დესეტინა, ცნობილ რომიანკოს — 67.511 დესეტინა, გრაფინია იგნატიევას — 35 ათასი დესეტინა. გარდა ამისა, მრავალი ასეული დესეტინა მიწა ჰქონდათ პოლონელ პანებს ბელორუსიის სხვა გუბერნიებშიც, ხოლო კნეინა გოგენლოეს სლუცკში ჰქონდა 120 ათასი დესეტინა მიწა, მოზირინში — 220 ათასი დესეტინა. ბობრუიშინში — 20 ათასი დესეტინა, სულ — 712,737 დესეტინა.

აი რა იზიდავდა და იზიდავს პოლონელ პანებს და გერმანელ ფაშისტებს ბელორუსიაში.

თეთრ პოლონელთა მხრივ ძალადობას და აბუჩად აგდებას 1919-1920 წლებში საზღვარი არ ჰქონდა.

ბელორუსიის ქალაქები და სოფლები ცეცხლის ალში იყო გახვეული. თეთრი პოლონელები სწვავდნენ ქალაქებს - მინსკს, ბობრუისკს, ბორისოვს, პოლოცკს, სლუცკს, სწვავდნენ სოფლებს. ბორისოვში თეთრმა პოლონელებმა დასწვეს 2500 სახლი და მოჰკლეს 500 კაცი მარტო ბორისოვის მაზრაში თეთრმა პოლონელებმა [illegible]ულად გადასწვეს 20 სოფელი, მარტო სლუცკის მაზრაში თეთრმა პოლონელებმა გადასწვეს 1462 გლეხთა კომლი და გლეხებს წაართვეს 1820 ცხენი, 2.070 ძროხა, 1196 ღორი და 2.906 ცხვარი. თეთრი პოლონელები აუპატიურებდნენ და სცემდნენ ქალებსა და ბავშვებს.

წითელი არმიის შემწეობით ბელორუსიის ხალხი განთავისუფლდა გამხეცებულ თეთრ პოლონელთა ბანდებისაგან, განთავისუფლდა მძიმე, შემაძრწუნებელი ხვედრისაგან, რაც წილად ჰხვდათ მათს ძმებს დასავლეთ ბელორუსიაში, რომელიც პოლონეთის ბრძანებლობაშია.

ამ ხვედრს უმზადებდნენ ბელორუსიის ხალხს საზიზღარი ნაციონალდემოკრატები, რომლებიც გერმანიის კაიზერებს და პოლონეთის პანებს ჩექმებს ულოკავდნენ, ბელორუსიის ხალხს ბითუმად და ცალობით ჰყიდდენ. მათი უბადრუკი ნაშთები, რომლებიც ბელორუსიის ხალხმა საბჭოთა ქვეყნიდან გააგდო, დღესაც, გერმანელ და პოლონელ ფაშისტებთან ერთად, გენერლებთან და პანებთან ერთად, თავისუფალი ბელორუსიის ხალხისათვის ხუნდებს, მათრახსა და მონობის უღელს ამზადებენ.

დაე, სცადონ მათ და თავს დაესხან ჩვენს საბჭოთა კავშირს, ჩვენს დედასამშობლოს, რომელიც შექმნილია მუშათა, კოლმეურნეთა, მშრომელთა ხელით, ნალოლიავები და გამოზრდილია ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მიერ ლენინისა და შენი მეთაურობით, ჩვენო ძვირფასო სტალინ! და თუ იმპერიალისტები ჩვენ ომს თავზე მოგვახვევენ. დაე იცოდნენ, რომ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალზე არ ვიომებთ.

ჩვენს ბავშვებს არასოდეს არ ეცოდინებათ მონობის ხვედრი. ისინი თავისუფალნი და ბედნიერნი იზრდებიან, მათთვის ცხოვრების ყველა გზა ხსნილია.

ჩვენმა ბავშვებმა მრავალჯერ გაგვახსენეს, რომ შენთან გასაგზავნ წერილში, ჩვენო ძვირფასო სტალინ, არ დაგვავიწყდეს მოგწეროთ, რომ ისინი, ბავშვები, პიონერები, მოწაფეები შენ, სტალინ, სალამს გითვლიან და საკუთარ მამასავით უყვარხართ.

ბელორუსიის ხალხი წინათ სევდიან, გოდებით აღსავსე სიმღერებს მღეროდა. ბელორუსიის ხალხმა ახლა შესთხზა და მღერის ახალ სიმღერებს, სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრების სიმღერებს:

«Куплю Ленина партрэт.
Залатую рамачку.
Вывеу ен мяне на свет.
Цемную сялянaчку.
А на небе многа зорак
Адна зорка усих ярчэй,
Сталин кажа, што у калгасе
Жыцце будзе нам лягчэй.
Прыедзь, Сталин, на паглядзи.
Нам у калгасе добра жыць.
У калгасе мы жывем.
Тэльки прышываем,
У час сеем, добра жнем.
Свае дабро маем».

ჩვენ ვფიქრობთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ არ შეიძლება მიღწეულ წარმატებებს დავსჯერდეთ, თავს არ უნდა გავიდეთ, მხართეძოზე არ უნდა წამოვწვეთ, თუ ჩვენ პატიოსნად არ ვიმუშავებთ და ჩვენს საერთო დოვლათს არ მოვუვლით, დიდი მეურნეობა შეიძლება დაიღუპოს. ჩვენ ყველა, დიდი თუ პატარა, მთელი ძალღონით ვიმუშავებთ, რათა ჩვენი მრეწველობა ბევრად უფრო სწრაფად განვითარდეს, რათა ყველა ჩვენი კოლმეურნეობა გადაიქცეს ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო ყველა კოლმეურნე - შეძლებულ კოლმეურნეებად, რათა უფრო მეტად გაიფურჩქნოს ჩვენი კულტურა, უფრო სასიხარულო და ბედნიერი გახდეს ჩვენი ცხოვრება, უფრო მიუწვდომელი იყოს ყველა მტრისათვის დიადი, საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრები.

ჩვენო ძვირფასო სტალინ, მიიღეთ ჩვენგან, მთელი თავისუფალი ბელორუსიის ხალხისაგან ჩვენი მადლობა და ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური მუშური, საკოლმეურნეო შრომითი სალამი სულით და გულით გისურვებთ ჩვენო ძვირფასო ხანგრძლივ ცხოვრებას და ჯანმრთელობას.

ეს წერილი განიხილა და მიიღო ბელორუსიის 1.124.000 მუშამ, კოლმეურნემ და მშრომელმა.

საკოლმეურნეო საკითხებზე

კოლმეურნეობის მიწებს წარამარა არიგებენ

ონის რაიონის სოფ. მოედნის კოლმეურნეობაში წელს გეგმაზე ორი ჰექტარით ნაკლები დათესეს. ეს იმიტომ, რომ კოლმეურნეობის საუკეთესო მოსავლიან ადგილების კერძო პირებზე სამოსახლოდ მიცემამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

საქმის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი.

მიმდინარე წლის მარტში მოლიბდენის საწარმოს თანამშრომელმა **ხერგო დგვარელმა** (რომლის ოჯახის წევრებსაც არცერთი შრომადღე არა აქვთ გამომუშავებული კოლმეურნეობაში) მოითხოვა ახალი სამოსახლო. კოლმეურნეობის გამგეობამ გამოჰყო კომისია, საკითხი „შეისწავლეს“ და დაასკვნეს: — რადგან ს. დგვარელის ეზოს არა აქვს ავტომობილის მისასვლელი გზა, ამიტომ ახალი სამოსახლო ესაჭიროებაო, გამგეობამ თანხმობა განაცხადა, იმ შენიშვნით, რომ დგვარელის სახლი ახალ სამოსახლოზე უნდა გადაეტანა. დგვარელმა კოლმეურნეობის საერთო კრების დაუდასტურებლად მეორე დღესვე მიიზომა კოლმეურნეობის საუკეთესო ფართობიდან ერთი მეოთხედი ჰექტარი, „სამოსახლო“, და სიმინდი დათესა, ამნაირად, ახლა დგვარელს ორი სამოსახლო უჭირავს.

ვასილ ბერიშვილმა ქ. ონში თავისი სახლი გაჰყიდა და მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ახალი სახლი დადგა კოლმეურნეობის ფართობზე. ბერიშვილმა ესეც არ იკმარა, და ახლახან თვითნებურად შეიერთა 400 კვ. მეტრი ნაკვეთი კოლმეურნეობის ფართობიდან.

კოლმეურნეობის გამგეობამ განსაზოგადოებული ფართობიდან შინამრეწველ იოსებ ბურდილაძეს მიუზომა ახალი სამოსახლო, ბურდილაძემ დადგა უბრალო ფარდული, დანარჩენ ფართობზე კი სიმინდი დათესა.

ასევე მოიქცა **ილიკო ბურდილაძე**. მან ჯერ კიდევ შარშან სთხოვა კოლმეურნეობას სავენახე ადგილი. მისცეს, მაგრამ რადგანაც თითონ ვენახის გაშენების თავი არ ჰქონდა, ადგა და სხვას გააშენებინა, წელს მას კიდევ მისცეს სამოსახლო, სხვებისათვის თვალის ასახვევად ახალ სამოსახლოში ბურდილაძემ უბრალო ფარდული ჩადგა, მიწას კი სხვას ამუშავებინებს.

კოლმეურნეობის მიწას იჩემებს ქ. ონის მცხოვრები **ილარიონ გოგლიძეც** იმ „საბაბით“, რომ ვილაც გოგლიძეს, რომელიც გარდაცვლილია, კოლმეურნეობის ფარგლებში წინათ ჰქონია ადგილი და შემდეგ ხსენებულ ილარიონ გოგლიძისათვის უანდერძნია,(!).

კოლმეურნეობის ახლანდელი გამგეობის თავმჯდომარე **ალექსანდრე ბუგიანიშვილი** განსაზოგადოებულ მიწებს თვითნებურად არიგებს. მან კერძო საკუთრებად მისცა ერთპიროვნულ მეურნე კოწია ბურდილაძეს 2.000 კვ. მეტრი მიწა. ინდივიდუალურ გლეხს სოსო ბერიშვილს მისცეს 1 ჰექტარი მიწა, ვითომდა სამაგიეროს ნაცვლად. ასევე მისცეს ადგილები ერთპიროვნულ გლეხებს ნესტორ ბურდილაძეს, კოლია ბურდილაძეს და ვასილ ბენდიაშვილს.

ამგვარად, სოფ. მოედნის კოლმეურნეობის მიწები სისტემატურად მცირდება. მოედნის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ალ. ბუგიანიშვილი), უხეშად არღვევს სას. სამ. არტელის ახალ წესდებას **განსაზოგადოებული მიწების შემცირების დაუშვებლობის შესახებ.**

ეს ხდება ონის რაიმიწგანის ცხვირწინ, ქალაქიდან მხოლოდ ერთი კილომეტრის დაშორებით!

ს. ბარაბაში.

არც წვადი იწვის, არც შამფური!

ახალსოფლის (სამტრედიის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობის ხელმძღვანელებს, მართალი რომ ითქვას, მაინცდამაინც არაფრად ეჭაშნიკებათ რევიზია. ისინი ამჯობინებენ უშფოთველად, უდავიდარაბოთ, ურევიზიოთ ყოფნას.

გაზაფხულზე გაიმართა ახალი სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის და სარევიზიო კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც დაესწრო 6 კაცი. დღის წესრიგში მათ ერთი საკითხი ჰქონდათ — ახალი სარევიზიო კომისიის არჩევა... და აირჩიეს კიდეც.

კოლმეურნეობის წევრებში მითქმა-მოთქმა შეიქნა. ამბობდნენ, რატომ არას გვეკითხებიან ახალი სარევიზიო კომისიის არჩევაზეო. ამ ლაპარაკმა და უკმაყოფილებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ გამგეობა იძულებული გახდა თავისი არჩეული (!) სარევიზიო კომისიის დასამტკიცებლად კოლმეურნეთა საერთო კრება მოეწვია.

არსად არ არის ჩაწერილი, თუ რამდენი წევრი დაესწრო ამ კრებას, არც ის იცის ვინმემ, კანონიერი იყო თუ არა ის. მაგრამ ამ კრებამ დაადგინა: გამგეობის მიერ შერჩეული სარევიზიო კომისია დამტკიცდესო და ახალი სარევიზიო კომისიაც გაფორმებულია ოქმით.

კოლმეურნეთა ახალი სანიმუშო წესდების თანახმად კოლმეურნეობის „სარევიზიო კომისიას ამტკიცებს საბჭოების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი“, მაგრამ ჯერჯერობით არავის შეუწუხებია თავი წესდების ამ პუნქტის შესასრულებლად.

გამგეობის მიერ შერჩეულმა კომისიამ ჩაატარა კოლმეურნეობის საწყობის აღწერა. ეს აღწერა ზერელე იყო. აქტში სწერდნენ არა იმას, რაც უნდა შეეტანათ წესიერი გაანგარიშების წესით, არამედ იმას, რაც საწყობში ნახეს.

საწყობში 25 ფუთი სიმინდი ზედმეტი აღმოჩნდა. საიდან გაჩნდა ეს ზედმეტი სიმინდი და ვის დააკლეს ის, არავინ იცის.

კოლმეურნეობის გამგეობამ ააგო სახერხი ქარხანა, რომელიც 10.000 მანეთად დაჯდა. ახლა გამოირკვა, რომ ქარხანა არარენტაბელურია. იგი ვერ მუშაობს, უხეიროდ აშენებისა და აგრეთვე იმის გამო, რომ დასახერხი არაფერია.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამგეობამ შემოიღო კოლმეურნეობის წევრთაგან ფულის სესხება (!), მარტში ასეთი სესხი აუღიათ 580, ხოლო აპრილში 500 მანეთი. რითია ეს გამოწვეული, ან სად მიდის ეს უცნაური „სესხი“, არავინ იცის.

კოლმეურნეობის გამგეობის, საერთო კრების და სარევიზიო კომისიის ოქმები მიყრილ-მოყრილია. იშვიათად ნახავთ, რომელიმე დოკუმენტი კარგად იყოს გაფორმებული და წესიერად შენახული. მთელ რიგ მეტად სერიოზულ ხასიათის აქტებიდან ზოგს თავი აქვს მოგლეჯილი, ზოგს—ბოლო. ოქმს აქ ხშირად სწერს ერთი მდივანი და ხელს კი სხვა აწერს. საქმე ნამდვილად ისეა „დაყენებული“, რომ საზოგადოებრივი ქონების მტაცებლებს ადვილად მიუწვდეთ ხელი საკოლმეურნეო დოვლათზე.

ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელები კი ცხოვრობენ „მშვიდობიანად“, ისე რომ „არც წვადს წვავენ და არც შამფურს“.

ივ. ტაბიძე.



ქალაქი ჯუღელი. ფერომარგანეცის სადნობი საამქროს საერთო ხედი.

მდგომარეობა უმჯობესდება

(ჯუღელი, საკ. კორესპონდენტისაგან).

ქალ. ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანამ 1935 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო დავალება ვერ შეასრულა. კვარტალური გეგმა, რომელიც 5888 ტონა ფეროშენადნობის გამოშვებას ითვალისწინებდა, მხოლოდ 79 პროცენტით შესრულდა.

ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ქარხანა დროზე არ იღებდა ელექტროენერგიას, მარგანეცსა და ქვანახშირს. იყო სხვა მიზეზებიც, კერძოდ ქარხნის ცალკე საამქროები ცუდად მუშაობდნენ. ამის გამო ფერხდებოდა ქარხნის დამხმარე და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება. გაზ. „კომუნისტმა“ ამაზე თავისი სიტყვა უკვე სთქვა.

ახლა ქარხნის სადნობი საამქრო, უზრუნველყოფილია ცეცხლგამძლე მიწით. ამ მხრივ შეფერხება აღარ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ საამქროს სასხმო ეზო განიტვირთა ლითონისა და წიდისაგან. ასევე მოისპო შეფერხებები რკინისა და ბურბუშელის მიწოდების მხრივ.

დანაკარგების მოსპობისათვის სადნობ საამქროში გამოჰყვეს სპეციალური ბრიგადა — 10 კაცის შემადგენლობით, ბრიგადამ მარტო ივნისში ნარჩენებიდან, 130 ტონა ფეროშენადნობი შეაგროვა.

უახლოეს ხანში მუშაობის ასე თვალსაჩინო გარდატეხა იმის შედეგია, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და ქარხნის ხელმძღვანელობამ რადიკალურად გარდაქმნეს მუშაობა, გაძლიერდა ზუსტი ტექნიკური მეთვალყურეობა, საწარმოო პროცესებზე. ქარხნის ტექნიკური დირექტორი ინჟ. ი. ნიჟარაძე ყოველდღიურად სწავლობს საწარმოო პროცესის ყველა დეტალს, არჩევს და სწორად ანაწილებს საჭირო ადამიანებს.

გულისხმიერად და მზრუნველობით ეკიდებიან ტექნიკური სწავლებას. თავდადებულად იბრძვიან სახელმწიფო ტექნიკური გამოცდების წარმატებით ჩატარებისათვის. 217 მუშაში რომელთაც სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა ჩააბარეს 62 კაცმა „ფრიადი“ მიიღო, 105-მა „კარგი“ — და 50-მა „დამაკმაყოფილებელი“.

გაუმჯობესდა ქარხნის ნედლეულის მომარაგებაც.

ყველა ამან სათანადო შედეგი გამოიღო. მეორე კვარტალში სახელმწიფო დავალება, რომელიც 6988,9 ტონა ფეროშენადნობის გამოშვებას, ითვალისწინებდა, 108 პროცენტით შესრულდა, (გამოუშვეს 7549 ტ. ფეროშენადნობი), გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერება. მეორე კვარტალში ღუმელდღეში გეგმით უნდა გამოდნობილიყო 17,1 ტონა ფეროშენადნობი, ფაქტიურად გამოდნა 27,7 ტონა — რაც დავალების 162 პროცენტს შეადგენს. ნახევარი წლის გეგმა კი 94,7 პროცენტით შესრულეს, ამ ციფრებით ნათლად დასტურდება, რომ ფერომარგანეცის ქარხნის კოლექტივი დღითი-დღე აუმჯობესებს მუშაობას და ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის მოწესრიგებული. მიღწევებთან ერთად ნაკლიც არის.

თუნდაც მუშათა მომარაგება ავიღოთ. ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი, არაა. სასადილოში კარგი ხარისხის კერძი არ მოიპოვება. მუშათა მომარაგების განყოფილება დღემდე მოუქნელად მუშაობს. ამ მხრივაც უნდა მოხდეს გარდატეხა.

●

ივნისიდან ქარხანა ჩაება ფეროშენადნობის საწარმოთა საკავშირო კონკურსში. ქარხნის კოლექტივმა იკისრა სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით შესრულება.

ტერ. ნაროუშვილი.

ციტრუსებს ასე უნდა უვლიდეთ?

ქობულეთის რაიონმა წელს 90 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა მიიღოს.

ციტრუსოვანთა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ ახლა იწყება, მაგრამ ქობულეთის რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოები ამას რატომღაც ვერ გრძნობენ. მაშ რით უნდა აიხსნას ჩამორჩენა ციტრუსების ძირითადი სამუშაოების შესრულებაში?

ავიღოთ თუ გინდ შეწამვლა. რაიონში პირველი შეწამვლის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა. **წამლობა აქ მაშინ დაიწყეს, როცა მანდარინისა და ლიმონის ხეებმა ყვავილი გამოიღო.** ამის გამო ეფექტიანობაც ნაკლები იყო. ეს გაკვეთილები რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დროზე ვერ გაითვალისწინეს, სწორედ ამითაა გამოწვეული ის დანაშაულებრივი უყურადღებობა, რომელსაც ციტრუსების შეწამვლაში რაიონის მთელი რიგი სასოფლო საბჭოები იჩენენ.

კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში ციტრუსები მეორედ შეწამლული 1 ივლისისათვის 626,2 ჰექტარიდან მხოლოდ 151,5 ჰექტარზე იყო (გეგმის 24,6 პროც.).

ვერ მივიღეთ შემწამლავი აპარატების საკმაო რაოდენობა. გვაკლია შხამები — აცხადებენ რაიმიწგანში.

ეს ნაწილობრივ სწორია. მაგალითად, რაიონმა 3000 კილოგრამი შაბიამნის ნაცვლად 1900 კილოგრამი მიიღო. საჭირო იყო 300 ცალი „ავტომაქსის“ სისტემის აპარატი, მიიღეს 73, მაგრამ, რაც მთავარია, **გეგმიანად და რაციონალურად არც ის საშუალებებია გამოყენებული, რომელიც რაიონს მოეპოვება.**

აი ფაქტიც: ლეღვას სოფლის **საბჭოში 8 აპარატით 10 დღის განმავლობაში 1,5 ჰექტ. პლანტაცია შეწამლეს. ეს იმ დროს, როცა ყოველი აპარატით დღეში ერთ ჰექტარამდე პლანტაცია შეიძლება შეიწამლოს, თუ მას შეუფერხებლად ვამუშავებთ. ქობულეთის სასოფლო საბჭოში 20 ივნისიდან 1 ივლისამდე 9 აპარატით მხოლოდ 24 ჰექტარი შეწამლეს. ხუცუბანში,** მიუხედავად იმისა, რომ ის თავის დროზე მოამარაგეს, როგორც შხამებით, ისე აპარატებით, პლანტაციების შეწამვლა ჯერაც არ დაუწყიათ. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ალიას დუმბაძე** ციტრუსების შეწამვლას სასხვათაშორისო საქმედ სთვლის.

სოფ. ხალაში კულაკებმა და მათმა აგენტებმა ხმა გაავრცელეს— „არ შეწამლოთ პლანტაციები, თორემ ნაყოფს არ მოისხამსო“. სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მემედ აფაქიძემ** კლასობრივი მტრების ამ პროვოკაციას ვერ აუღო ალღო და, ნაცვლად იმისა, რომ გაეშალა მასობრივი ახსნა - განმარტებითი მუშაობა, თვითდინებას მიენდო. ციტრუსების პირველი წამლობის გეგმა აქ მხოლოდ 53,5 პროცენტით შესრულდა. რაც შეეხება მეორე წამლობას, იგი პირველ ივლისისათვის დაწყებულიც კი არ იყო და მთელი ამ ხნის განმავლობაში **9 აპარატი უმოქმედოდ იდგა.**

ქობულეთის რაიონში სხვა სამუშაოებიც ჩამორჩა. მაგალითად, ციტრუსოვანთა პლანტაციებში მინერალური სასუქის შეტანის გეგმა 1 ივლისისათვის შესრულებული იყო 76,6 პროცენტით, ციტრუსების მეორე თოხნა 63,5 პროც. ამ დროისათვის ეს სამუშაოები დამთავრებული უნდა ყოფილიყო.

თუ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ახლავე არ იქნა მიღებული **გადამჭრელი ზომები,** ცხადია, საეჭვო გახდება იმ გეგმის შესრულება, რომელსაც ქობულეთის რაიონის ორგანიზაციები ისახავენ წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების დარგში.

ტ. აცანელი.

ტრამვაი

ტფილისში 115 ფაბრიკა-ქარხანა მუშაობს 60.000 მუშით. მთელი ეს არმია დილით, სამუშაოზე წასვლის დროს, ტრამვაით სარგებლობს. ტრამვაიმ უნდა მიიყვანოს ისინი ქარხანაში და უკან წამოიყვანოს მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ქალაქში ტრამვაის 155 ვაგონი მუშაობს, რომლებსაც დღეში 300.000 მეტი მოქალაქე გადაჰყავთ.

ინათებს თუ არა, გაიღება პარკის კარები და გაკრიალებული ვაგონები რელსებზე შეცურდებიან. მაგრამ ვაგონი მხოლოდ გარედან სჩანს გაკრიალებული. შიგ რომ შეიხედოთ, თვალში გეცემათ ჭუჭყი და უსუფთაობა: გუშინდელი ნაგავი ისევ მრავლად ყრია, ბილეთების ნაფლეთებით მოფენილია იატაკი, ფანჯრები ჭუჭყიანი და ტალახიანია. დამლაგებელის ხელი ვაგონს ან არ შეხებია, ან კიდევ ძალიან ზერელედ.

მოატანა სამსახურში წასვლის დრომ. თქვენ ნახევარი საათით ადრე გამოდიხართ, დადგებით გასაჩერებელ ადგილთან და ელით ვაგონს.

ელით დიდხანს, მოუთმენლად. ის მხიარული განწყობილება, რომელიც სახლიდან გამოგყვათ, მალე სიბრაზით შეგეცვლებათ. ვაგონი არ სჩანს, თითქოს წყალმა შთანთქაო. თქვენ აღარ გეყოთ მოთმინება და ფეხით გაუდექით გზას.

მაგრამ დახეთ უბედობას! გზაში წამოგეწევათ თქვენთვის საჭირო მარშრუტის ვაგონი, და განა ერთი! ვაგონები თითქოს მწყობრში ჩამდგარან და კოლონებად შეკრულან. ვინ დაეძებს იმას, რომ თქვენ სამუშაოზე გაგვიანდებათ. თუ გეჩქარება, ფეხით უნდა იარო—ასეთია მორალი!

ყოველ ვაგონს თავისი მარშრუტი აქვს. მაგალითად № 3 ფედერაციის მოედნიდან კარლ მარქსის ხიდით მიდის პლეხანოვის პროსპექტზე. მაგრამ ნუ ენდობით ამას, კრიტიკულად შეაფასეთ წარწერა ვაგონზე, რადგან ჯერ კიდევ კუზმა პრუტკოვმა სთქვა: **«НЕ ВЕРЬ ГЛАЗАМ СВОИМ».** თქვენ ჩაჯდებით ვაგონში და მხოლოდ ხიდზე გამოგიცხადებენ, რომ ვაგონი პლეხანოვის პროსპექტით არ წავა.

— რაო, თქვენ არ გინდათ კ. მარქსის ქუჩით წასვლა? მაშინ ჩამობრძანდით, დაუცადეთ შემდეგ ვაგონს და კიდევ ახალი აბაზი გადაიხადეთ.

ტრამვაის ზოგიერთი მუშაკები მგზავრს უყურებენ ისე, როგორც იძულებით ასორტიმენტს. მგზავრი მათთვის საინტერესოა, მხოლოდ სტატისტიკური ცნობების შესადგენად, სხვა მხრივ კი მას ანგარიშს არ უწევენ.

„უკულტურო“ დამოკიდებულება მგზავრისადმი, ბილეთების არასწორად მოხევა, მოძრაობის წესების დარღვევა — ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ვაგონში არ არის გამოკიდებული მარშრუტი, რომლითაც იგი მიდის.

არსებობს წესი — არ დაიძრას ვაგონი, სანამ მგზავრების ასვლა არ მოთავდება. მაგრამ მრავალი კონდუქტორი ამას ყურადღებას არ აქცევს, იძლევა ვაგონის წასვლის ნიშანს, როცა მგზავრები ჯერ კიდევ კიბეზე ჰკიდიან.

ზოგ ვაგონს სულ არ აქვს ზარი, ხელმოსაკიდებელი ღვედები დაწყვეტილია. თუ ამას დავუმატებთ ზოგიერთი ვატმანის უმსგავსო მოქმედებას (რაც ხშირად ხულიგნობამდე მიდის), ვაგონის ხტომახტომით წაყვანას, ნათელი გახდება, თუ რა წვალების გადატანა უხდება მგზავრს ტრამვაით მოგზაურობის დროს.

ამავე დროს ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგება არც თუ ისე დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ხომ შესძლეს ამ საქმის სამაგალითოდ დაყენება ბაქოში ნუ თუ ასე ძნელია ბაქოს გამოცდილების გადმოღება?

ჩვენი დილა

ხოზიკა

დილით, მზე რომ ლაჟვარდ ცაზე
ჩვილ ბავშვივით გაგიცინებს,
და მნათობის ცელქი სხივი
გიალერსებს, გიხიცინებს,
მერცხალი რომ შემოგძახებს:
არ გრცხვენია? რა გძინებს,
ნახე: ხის წვერს მზე ჭაბუკი
როგორ ასხამს ოქროს მძივებს,
ნახე: დილით ეს ქვეყანა
რა კოხტაა, რა კარგია,
როგორ ყვავის მთა და ბარი,
რა ფერებით ნაქარგია!
რა მორთულია დედამიწა,
რა კაბაა, რა თარგია,
მალე, თვალი გაახილე,
დილით ძილი რას ვარგია!—
სიხარულით გაიღება,
ამგვარ დილით კაცის თვალი,
ხარობს გული აწმყოთი და
ხარობს იგი მომავალით.
ელის გული, რომ ეს დილაც,
როგორც დილა სხვა მრავალი,
ეტყვის: ახალ მწვერვალს იპყრობს
დღეს ქვეყანა ამავალი.
დღესაც დილით, როცა სხივი
შემოიჭრა ფანჯარაში,
შეიცქვა, შეკუნტრუშდა,
ვით მხედარი ოქროს რაშით,
მოცუნცულდა თმა ხუჭუჭა
ბიჭუნია, დაჰკრა ტაში
და შემძახა: სტრატოსტატი
აფრენილა მაღლა ცაში!
აფრენილა იგი ცაში,
სხივთ სათავე უპოვნია,
იქ სინათლის უხვი წყარო
მზის ძუძუზე უწოვია.
და მზეც ხარობს, მასთან მისვლა
სადარბაზოდ უხსოვია,—
მზეს ღრუბლებზე ცისარტყელის
ხალიჩები უქსოვია.
ნეტა როდის გავიზრდები,
მეც ავფრინდე სტრატოსტატით,
მინდა, მინდა, მეც მწყურია
მალე გავხდე ცის ოსტატი,
ლურჯი თალი გავარღვიო,
ფოლადჩიტას მჭრელ ნისკარტით.
დედამიწას უთანამგზვრო,
მისებრ სწრაფი აპარატით.
თმა ხუჭუჭავ! ყვავილი ხარ,
სიამე ხარ ჩვენი დილის,
აგერ ხელი მომავალის,
საალერსოდ გამოწვდილი,
გაიზრდები; შენ ბრძოლები
დაგიხვდება გადახდილი,
ლაჟვარდ ცაზე ისე ივლი,
ვით ბილიკით გამოცდილით.
დღეს დილაა ჩვენი ქვეყნის,
სხივოსანი ნორჩი დილა,
მზეც ჩვენია. დღეს ჩვენი მზე
გლეხურ ქოხებს აღარ ჩრდილავს.
ის სხვა მზეა ჩვენს მიღმა რომ
ჩასავლისკენ გადაწვდილა,
ის მზე ჩავა. იქ ჩვენი მზე
გაულიმებს ქოხებს ტკბილად!

რაიონებში

ჯუღელი

სხვადასხვა კამპანიების გეგმები რაიონმა შემდეგი მაჩვენებლებით შეასრულა: წლიური გეგმით რაიონში უნდა დამზადდეს 185.015 კილოგრამი ხორცი, ფაქტიურად რაიონმა სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 159.175 კილო, ანუ მთელი დავალების 86 პროცენტი. აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 135 პროცენტით შესრულდა, ფულადი სახსრების მობილიზაციის ნახევარი წლის დავალება (1.024.100 მანეთი) — 102,1 პროც., ყველის ჩაბარების გეგმა — 101,2 პროც. საგზაო მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებულია 52,2 პროცენტით.

ცაგერი

ზემო-ღვირიში მთლიანი კოლექტივიზაციის სოფელია. კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს ააგონ დაწყებითი სკოლა, თითო კოლმეურნე ექვს შრომა-დღეს ხარჯავს სკოლის მშენებლობაზე, თავისი მუშა-საქონლით, შენობის ნახევარი უკვე აგებულია. საუკეთესო კოლმეურნე მშენებლებია: **იასონ ყურაშვილი** და **ექვთიმე ხეცურიანი.** ამ საქმის ინიციატივა და ხელმძღვანელობა ეკუთვნით **ამბროსი ხეცურიანს** და **აკ. ხეცურიანს.** დაწყებითი სკოლა, რომელიც ზემო - ღვირიშის კოლმეურნეთა ძალით იგება, ფულით რომ აშენებულიყო 10.000 მანეთი დაჯდებოდა. მშენებლობა დამთავრდება ივლისის ბოლოსათვის.

ლაგოდეხი

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მოაწყეს ბიბლიოთეკები. სოფელ **შრომის** კოლმეურნეობამ შეიძინა 400 მანეთის მხატვრული და პოლიტ. ლიტერატურა, სოფ. გიორგეთის კოლმეურნეობამ — 300 მანეთის, სოფ. ზემო **ქედხიანის** კოლმეურნეობამ — 200 მანეთის, ს. კავშირის კოლმეურნეობამ — 300 მანეთის და სხვ. გაიზარდა ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი. სოფ. ვარდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. მესხიშვილს, სოფ. ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ხაჩიაშვილს და სოფ. თელის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წაკითხული აქვთ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, „არსენა მარაბდელი“ და ნინოშვილის ნაწერები.

ცხაკაია (სენაკი)

ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ორგანიზაციას 15 ივლისს ადგილობრივად მოწყობილ ბანაკში (კურორტ ნაქალაქევში) ერთი თვით მიჰყავს 80 ფრიადოსანი—დამკვრელი პიონერი, მუშებისა და კოლმეურნეების შვილები. ბანაკი მთლიანად უზრუნველყოფილია, შემოცდილი პედაგოგებით, ხელმძღვანელებით, ექიმით, სურსათ - სანოვაგეებით, კულტურულად მოწყობილ ბინებით და სათამაშოებით.

გურჯაანი

სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით, სოფ. ურიათუბანში და ვეჯინში ჩამოყალიბდა 4 ახალი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანდა 295 კომლი. კოლმეურნეობათა გამგეობებში და სასოფლო საბჭოებში ყოველდღე შედის ერთპიროვნულ გლეხთა განცხადებები მათი კოლმეურნეობის წევრად მიღების შესახებ.

ჟანდაურის ლენინის სახ. კოლმეურნეობის წევრებმა გადასწყვიტეს — სახელმწიფოსთვის პირველ გალეწვიდანვე ჩაებარებინათ საუკეთესო ხარისხის პური. ეს დაპირება მათ პირნათლად შეასრულეს. კოლმეურნეობამ წითელი ქარავნით მთელ რაიონში პირველმა ჩააბარა 6.000 კილოგრამი ხორბალი.

ახალქალაქი

შესდგა მწყემსების რაიონული შეკრება, რომელმაც განიხილა ახალქალაქის და ბაშკიჩეთის რაიონებს შორის მეცხოველეობის განვითარების თაობაზე დადებულ სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. დასასრულ მოხდა საუკეთესო მწყემსების ოვაკიმ ქეიანის, ქიმალ დაირ-ოღლის, ხოჯა იბრაგიმ ოღლი მაისურაძის და აბგარ ანდრიასიანის დაჯილდოვება. რაიონის მწყემსებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაშკიჩეთის რაიონის მწყემსები.

საგარეჯო

რაიონში სალეწი და მოსავლის ამღები მანქანები უკვე განაწილებულია უბნებზე. სალეწებთან მწონავებად აქტიური კომკავშირლები არიან. მათ შორის სოცშეჯიბრება გაჩაღდა. სოფ. კაკაბეთის ამხ. ორჯონიკიძის, ცხაკაიას და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები მოსავლის ასაღებად სანიმუშოდ მომზადნენ.

ჩხოროწყუ

ნაკიანის, ლეწურწყუმის სასოფლო საბჭოებმა ვერ შეასრულეს ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმები. მაგრამ რაიონში არიან სას. საბჭოები (ახუთის, კირცხის და მუხურის), რომლებმაც ორი თვის დავალება დროზე 100 პროცენტით შეასრულეს.

ალიო ადამია □ □ □ □ □

Kollektiv „E. Thälmann“

გულუხვია ნოყიერ იორის ნაპირებზე ატეხილი ჭალები. გულუხვია და ნოყიერი გარეკახეთის ზვარებით მოფარული ველმინდვრები.

და ახლა, შუა ზაფხულში, თავთავდახუნძულ პურის ყანებით, გულმკერდ ფარჩიან მზესუმზირათი და შექოჩრილ ტყეებითაა დაფარული გარეკახეთის ეს მინდვრები, ეს გორაკები და ეს ატეხილი ჭალები.

გულუხვი და ნოყიერია გარეკახეთის გერმანელთა სოფელი სართიჭალა!

...რამდენიმე ათასი კილომეტრი გამოიარეს ფეხით, ორთვალებით, ცხენებით, მატარებლით და ისევ ფეხით.

რამდენიმე ათასი კილომეტრი გამოიარეს და ცხოვრებისათვის პირდაპირ თვალებში არ შეუხედავთ, — არც ცხოვრებას შემოუხედია მათი დაკონკილი ტანსაცმელისათვის, ყინვისაგან გასანთლულ და დამზრალ ხელფეხისათვის; ვეებერთელა მზის სხივები იმედათ არ ჩანათებულა მათ მილულულ თვალებში... ყოველი მხარე სხვადასხვანაირი ყოფილა, როგორც ხალხი, ადამიანები.

სხვანაირი! — ახლობელს, ნათესაურს ვინ ეძებდა მაშინ.

მშობლიური ცა! — ერთხელაც არ აუხედიათ მაღლა, ცას ზურგს უქცევდენ და მიწას შესცქეროდენ.

მაგრამ მიწაზე ცა არ არის გამოხატული.!

ვარა ღრუბლები მიწაზე არ გააფენენ ჩრდილს!

განა წვიმა ციდან არ ილვრება მიწაზე და ნალექს არ აჩენს?

მუხას, ალვის ხეს, ჭანდარს ცაში აქვს ტოტები შედგმული, — მოსჭრიან და მიწაზე იშხვართება. და ისინი ნაღვლიანი თვალებით ჩასცქეროდნენ მიწას და ამ მიწაზე შავი ლაქებით მათი ცა იყო გამოხატული!

1816 წელს გადმოსახლდნენ ისინი გერმანეთიდან. ოცდახუთმეტმა ოჯახმა დატოვა მშობლიური კერა ვიუტენბერგში და საქართველოში გადმოსახლდა... ასცხრამეტი წლის წინათ გულთბილად როდი შეეგებნენ ვიუტენბერგიდან გადმოხვეწილებს. მათთვის არავის გაუწვდია მეგობრული ხელი და მხოლოდ და მხოლოდ ჭაპანწყვეტით ირჩენდნენ თავს; დაუკოდელ ხარებივით ებრძოდნენ უკ მიწებს, ხეხილისა და ვარდების ბაღებს უშენებდენ მემამულეებს, ამშვიდებდენ ჩოლოყაშვილების სახლებს და თვითონ გვიმრით გადახურულ გომურებში ცხოვრობდენ...

ცხოვრობდენ მეზობლებისაგან კარმოხურულად, რადგან „ურწმუნონი“ არ შეიხიზნა და არ შეიფრდომა ქრისტიან ხალხმა და დღითიდღე მაინც მრავლდებოდენ გერმანელები. თელეთში და აბასთუმანში მყოფი გერმანელებიც გადმოსახლდნენ სართიჭალაში.

სისხლის ფასად იყიდეს თავად ჩოლოყაშვილისაგან მამული, ერთად მოიქუჩეს თავი და საერთო ჯანღონით ააგეს წისქვილი.

●

და საქართველოს ოქტომბრის შემდეგ რა ერთთავად წავიდა წინ მათი ცხოვრება — მშობლიური გახდა ეს ველმინდვრები და ხეობები, ეს ბაღნარი და ეს მიწა, ეს სახლი და ეს კარმიდამო, ეს ცა და ეს ვარსკვლავები—ყველაფერი ახლოა მათ გულთან, მათი გულია, მათი გულღონე და მათი სისხლი.

ამ მღვრიე იორის ჭალებზე დაფურჩქვნილან და საოცრად ყვავიან მათი ხელებით დარგული და მათი ჯაფით დაზრდილი ვენახები და მზესუმზირა, აკაციები — ასე ლარივით რომ ჩამწკრივებულან სართიჭალის თემშარაზე, — ხეხილის ბაღები და ვარდყვავილები...

რა სუფთა და კრიალაა მათი ეზო-კარი და საცხოვრებელი ბინები; ხალხი?

უქნარობას გაურბის თვითეული მათგანი, — მით უფრო ამ ზაფხულის ხვავიან დღეში გაცისკრებამდე თითქმის სულ ცარიელდება მთელი სოფელი და მათი ნაბიჯები მზის სხივებს ასწრებენ მინდორში, ყანაში, ვენახებში, ბოსტანსა და იალაღებზე.

ეს ასოთხმოცდაცამეტი კომლი, **ტელმანის სახელობის კოლექტივში — Kollektiv „E. Thälmann“**—ერთ მაჯისცემად და ერთ გულად შეკრული, — ჟრიამულით მიმოეფინება იორის ორივე ნაპირს და რა მუყაითად შრომობენ და რა ხალისით ალამებენ ამ შუა ზაფხულის ვეებერთელა დღეს. ბენდერ კოტლევი ნამდვილი ღატაკი იყო კოლექტივში რომ შევიდა. არც ეზო-კარი და არც საცხოვრებელი ბინა ჰქონდა ოდნავ ხეირიანი.

— „ცხოვრებისაგან თავისუფალი“—ასე ეძახოდენ მას სართიჭალაში. მარტო შარშან, სწორედ ერთ წელიწადში მიიღო კოლექტივიდან ბენდერ კოტლევმა: — 3.229 კილო ხორბალი, 284 კილო ქერი და ამდენივე შვრია, სიმინდი — 3.134 კილო, კარტოფილი — 3.609 კილო, 664 ლიტრა ღვინო, 31 ლიტრა არაყი და 1044 მანეთი ფულად.

ბენდერ კოტლევმა შეიძინა მეწველი ძროხა და სამას კვადრატულ მეტრზე გაიშენა ვენახი.

ეს „ცხოვრებისაგან თავისუფალი“ ადამიანი რა ძალუმად და რიხით შეიჭრა ცხოვრების შუაგულში — და ეს მარტოდენ კოლმეურნეობის წყალობით, რომელშიაც ასე ურთიეროდ და მტკიცედ შემოკრებილან ერთ და საერთო მიზნის გარშემო.

და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ ბენდერ კოტლევის მსგავსად, — აი, თუ გინდ **იმელ მაიერი, ემილია გახრეთ, იულიანა დამ, კოტლიპ კუდაროტი.**

და თვითონ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვილჰემ დამ.

თვითეული მათგანი, მხოლოდ კოლექტივში შესვლის შემდეგ მოღონიერდა, შეიმოსა თვითონ, შემოსა ცოლშვილი და საკუთარ კერაზე ისეთი ღადარი დაინთო, რომ ნაკვერჩხლები დეკემბრის უნაპირო ღამეშიაც კიაფით ატანენ დილამდე.

ყველაზე დიდი შენობა სართიჭალაში ნახირს აქვს დათმობილი. სამართლიანადაც!

არც ერთ ძროხას, რომელიც ხუთმეტ ლიტრაზე ნაკლებს იწველის დღე-ღამეში — ნახირში არ ურევენ. ასეთი ძროხა ნამდვილად სახორცეა და მათი მისამართი ჩვენი ფერმის წიგნში არ იწერება— ასე განაცხადა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა იაკობ ევერდმა.

დილა უთენიას იორის ნაპირზე გაიშლება კოლექტივის ნახირი და ეს ჯიშიანი ძროხები სძოვენ და სძოვენ რძიან ბალახს. საღამოს დატენილ ჯიქნებს და სავსე ცურებს ძლივსღა მოათრევენ და ტაატით მოიდან ფერმისაკენ.

მოუვლელი როდია ეს დატენილი ჯიქნები და სავსე ცურები!

განა თამარ გოლცვარტი, ოცდაორი წლის ცქრიალა გოგონა, თავისი ბრიგადით თავს არ დასტრიალებს მათ და დაკრიალებულ ბინას და ნოყიერ საკვებს არ ახვედრებს? —

მართლა, რომ ბავშვის გულივით სუფთაა ეს ბოსელი! ეს თამარ გოლცვალტის და მისი ბრიგადის ნახელავია, ეს მათი მუყაითი გარჯის შედეგია, ეს მათი მონდომებაა, მათი სიხარული. და განა ოდესმე ჩამორჩენილან ისინი, განა ოდესმე აღბეჭდილა მათი სახელი და გვარი კოლექტივის შავ დაფაზე გულცივობისათვის? —პირიქით, რამდენი მადლობა და ჯილდო, რამდენი წახალისება და შექება ირგუნეს მათ კოლექტივისაგან. და მუდამ დღე ასეთი ხალისითა და გატაცებით მუშაობენ და მჩქეფარ სიცოცხლეს ასეთ სიხარულში ატარებენ ჩვენი კოლექტივის ცქრიალა გოგონები...

●

მათი უწინდელი სამშობლო!

რამდენიმე ათასი კილომეტრის მიღმაა მათი უწინდელი სამშობლო და დედულ - მამული!

იციან, საკუთარ თავივით იციან, თუ როგორია ამჟამად მათი უწინდელი სამშობლო!

წაუკითხავთ, გაუგონიათ — მათი სწორები ახლანდელ გერმანეთში ჩაფრენილნი არიან მიწის გულს, მაღაროებსა და გვირაბებს, მათი ჯანღონე ასულდგმულებს უზარმაზარ სამხედრო ქარხნებს, მათი ხელებით უშვებენ ზღვებსა და ოკეანეში ახალ-ახალ სამხედრო გემებს და წყალქვეშა ნავებს და თვითონ უგულისყუროდ, უსამშობლოდ არიან დარჩენილნი საკუთარ „სამშობლოში“.

წაუკითხავთ, გაუგონიათ მათი სწორები ახლანდელ გერმანეთში შერეკილნი არიან იატაკქვეშ; მათი სწორებით სავსეა საპყრობილეები და „გამასწორებელი“ ბანაკები, საკანშია შემწყვდეული ისიც, რომლის სახელსაც მათი კოლექტივი ატარებს. მათი სწორები წარბშეუხრელად აჰყავთ სახრჩობელაზე და მათი სისხლი მრავალ ლოდსა და ციხის კედელზეა მიღვრილი, და ისიც წაუკითხავთ და გაუგონიათ, რომ მათი სწორები ახლანდელ გერმანეთში გულზე ხელდაკრეფილნი როდი არიან, რომ მათ გულში ღვივდება ბრძოლების ცეცხლი და სადაცაა დიადი მზე ზვიადათ ამოიწვერავს. ისინი თვითონ, საკუთარი ხელებით ამოიყვანენ ამ მზეს ცისკრიან განთიადისთვის...

სართიჭალაში შენდება კულტურისა და დასვენების პარკი. ამ პარკს გერმანელთა კოლექტივი აშენებს და სულ მალე, ნაირ-ნაირ ყვავილებით მოიქარგება ეს მიდამო, მაგრამ ამჟამადაც უკვე არის მოწყობილი ესტრადა, საზაფხულო კინო და სასეირნო „ხეივნები“.

საღამო ჟამს მთელი სოფელი თავს იყრის პარკში. უყურებენ კინოსურათს, ჟრიამულობენ, ცეკვავენ, მღერიან.

მართლა, დიადია ჩვენი სოციალისტური სამშობლო, რომ მის მიწაზე და მის ლაჟვარდოვან ცისქვეშ ასე ხალისით ცხოვრობენ ეს ოდესღაც გადმოხვეწილი გერმანელები და მათ მსგავსად მრავალი სხვა მოძმე ხალხები.

◆

ჩვენი მწერლები ორდენოსან ბელორუსიაში

ილო მოსაშვილი

მთელი ბელორუსია შემოიარა საქართველოს მწერალთა დელეგაციამ.

აი, ქალაქი გომელი, ძველად ვაჭრუკანების და სპეკულიანტების განთქმული კერა, სადაც ყველაფერი ადლით და გირვანქით იზომებოდა, სადაც სავაჭრო კონკურენციაში დამარცხებული რუსი ვაჭრები თავის ებრაელ მეტოქეებს ანტისემიტურ „პოგრომებით" უმასპინძლდებოდენ.

ერთის შეხედვით ეხლაც ქალაქს თითქოს ისევ ძველი ფერი გადაჰკრავს, მაგრამ საკმარისია მის შუაგულს გასცილდე და — საბჭოთა ახალთახალი ფაბრიკა - ქარხნების უზარმაზარი მზიანი კორპუსები დგებიან შენს წინ, როგორც ცოცხალი მიჯნა ძველსა და ახალს შორის.

ჩვენ აქ დავათვალიერეთ სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღების ქარხანა „გომსილმაში", ვნახეთ ამხ. ვიკალოს სახელობის ხე-ტყის დასამუშავებელი კომბინატი. მშვენიერი ქარხანაა, სადაც ყველა საწარმოო პროცესები სავსებით მექანიზებულია: დაწვრილებით გავიცანით ბელორუსიისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ტორფის საბადოების დამუშავებას, რომელიც რესპუბლიკის თბოენერგიის ერთად ერთ წყაროს წარმოადგენს. ვნახეთ თვალუწვდენელ ჭაობების გახსნილი გული, რომელსაც რკინის უზარმაზარი ეშვებით სჭრიან ექსკავატორები და სპეციალური სატორფე კომბაინები. ბელორუსელი ბოლშევიკებს ხაშმიანი ჭაობები სოციალისტურ ინდუსტრიის მამოძრავებელ ძალათ უქცევიათ.

ვნახეთ საკოლმეურნეო მინდვრები, ცხენთსაშენები, გავიარეთ მდინარე სოჟი, რომელსაც ვეება სამგზავრო და სატვირთო გემები სჭრიან, რომელსაც მოაქვს დაულეველი ქარავანი და მეტივეების სიმღერა, ბელორუსიის ველებივით უძირო და შორეული.

მე და ამხ. ქუთათელი მოტორიანი ნავის მცირე პალუბაზე ვიდექით და თვალმოუშორებლად გავცქეროდით მდინარის ღვალწარმტაც სანაპიროს, ტანაყრილ ფიჭვებს და არყის ხის მოშრიალე ტოტებს.

ჩვენს გვერდით მისცურავდენ მეტივეები და მღეროდენ თავის ერთფერ გაბმულ სიმღერებს, რომელმაც სვანური „ლილე"-ო მოგვაგონა.

ნისლი დაიწყებს ველზე მორევას,
ცა აივსება ღრუბლით და ნამით,
მეტივეები სჭრიან მორევებს
და ხეობებში მღერიან ღამით...

მერე ჩვენც მდინარე სოჟს სვანური „ლილეო" უმღერეთ...

კონსტიუკოვის შუშის ქარხნის ანთებულმა ღუმელებმა შორიდანვე შემოგვანათეს.

ეს არის საბჭოთა კავშირში ყველაზე უდიდესი შუშის ქარხანა, აგებული და მოწყობილი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მის უზარმაზარ ქვაბებში — „ფურკოს მანქანებში" — 1450 გრადუს სიცხეზე გამდნარი გავარვარებული ლავა თვალის მომჭრელი ელვარებით ანათებს. იწვის, დუღს და ელვარებს ერთმანეთში არეული სილა, სოდა და ცარცი, მერე ქვაბებიდან უზარმაზარ მილებში მისცურავს, თანდათან გრილდება სქელდება და, როდესაც მისი ცხუნარება 1.500 გრადუსამდე იკლებს საგანგებო მანქანის კბილანები მის ფურცლებს რულონის ქაღალდივით ეზიდებიან ზევით, კორპუსების ზემო სართულებში.

ადვილი არ იყო ამ ახალთახალი, უცნაური და რთული მანქანების ათვისება. მუშათა ახალგაზრდა კადრები ორი წლის განმავლობაში თავს ვერ აღწევდენ სამარცხვინო გარღვევებს. ქარხანაში მოხერხებულად შეპარული და მოკალათებული კლასობრივი მტრები ოსტატურად იყენებდენ მათს გამოუცდელობას და აფუჭებდნენ მანქანებს, აზიანებდენ ელექტრო დადგმულობას, ანელებდენ ქვაბებს, რომელთა მცირეოდენი შეჩერებაც კი მთელი ქარხნის საწარმოო გეგმების სრულ ჩაშლას უდრის.

მაგრამ ბელორუსიის კომ. პარტ. (ბ) ცეკას უშუალო ჩარევით, სწრაფად შეიცვალა მდგომარეობა, ქარხანა გაიწმინდა კლასობრივი მტრებისაგან და მძიმე გარღვევებს თავი დააღწია.

მისი პროდუქცია წარსულს წელს თუ 8 მილიონ მანეთს უდრიდა, წელს იგი უკვე 16 მილიონს აღწევს.

ქარხანა მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლად მუშაობს, მისი ქვაბები და მანქანები დღე და ღამ გუგუნებენ და თვითეულ 24 საათში 18 ათას კვადრატულ მეტრ უმაღლესი ხარისხის შუშას უშვებენ.

ჩვენ საგანგებო სათვალეებით უცქერით ღუმელებს, ქვაბებს, მანქანებს, რომელთა ელვარებას ვერ უძლებს ადამიანის თვალი.

აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ მუშას მაქსიმალურად შეუმსუბუქდეს შრომა.

ძველებურად მოწყობილ შუშის ქარხნებში მუშათა 60 პროცენტი ჭლექით იყო დაავადებული, არ რჩებოდათ თმა, კბილები. შთამომავლობაც ჭლექიანი და დაავადებული ჰყავდათ.

ეხლა გავარვარებულ ღუმელებთან რკინის კაცებივით ტრიალებენ ჯანმაგარი ბიჭები. საწარმოო პროცესების სრულმა მექანიზირებამ მათი შრომა იოლი გახადა. ადამიანი წინათ რასაც ტუჩებით და თითებით აკეთებდა, ეხლა იმას რკინით და ფოლადით აკეთებს.

მიუხედავად ამისა მუშის ჯანმრთელობის დაცვას აქ მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, მისი სამუშაო დრო, მხოლოდ ექვსს საათს გრძელდება, კვება, სისუფთავე, საბინაო პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე სხვა საწარმოებსა და ქარხნებში.

სახელდახელო მიტინგზე მუშათა მასა — ოვაციებით შეგვეგება, მისმა საუკეთესო მოწინავე ადამიანებმა გვიამბეს თავის წარსულ ბრძოლაზე ახალი მანქანების ათვისების საქმეში, გვიამბეს კლასობრივი მტრის ოინებზე, განუწყვეტელ ავარიებზე და ბოლოს, უდიდეს გამარჯვებაზე, რომელიც მათ მოიპოვეს.

ამხ. ბუაჩიძემ ქართველ მწერალთა ბრიგადის სახელით პირობა მისცა მათ, რომ ჩვენს წიგნში ეს შესანიშნავი ქარხანა და მთელი მისი მუშათა კოლექტივი ღირსეულად იქნება ასახული.

ჩვენ ამ პირობას ღირსეულად შევასრულებთ.

□ □ □

პატარა ფელეტონი

ალიმენტი... გაგუასგან!

იაკინთეს და ეკატერინეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათმა ვაჟიშვილმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და ცოდნით შეიარაღებულმა საზოგადოებრივ ასპარეზს დაუმიზნა.

არ დაიკარგა მშობლების ამაგი, არ ჩაცვივდა წყალში ოფლით და ჯაფით მონაპოვარი გროშები, დახარჯული საყვარელი ვაჟის აღზრდაზე.

უკვე მომწიფებულმა ვაჟმა გაინავარდა მზიანი ცხოვრების ბაღნარში. ახალგაზრდული ვნებით თავბრუდახვეულმა დახარბებით ჩამოუარა აყვავებულ წალკოტს, და ათრთოლებული ხელით მოსწყვიტა კოკობი ვარდი — უნაზესი და უსურნელესი ყველა ყვავილთა შორის.

შეირთო ცოლი და დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. რასაკვირველია, ეს ნაბიჯი არ ყოფილა შეთანხმებული მშობლებთან, ან რა საჭირო იყო ეს! 24 წლის ვაჟს შეუძლია დამოუკიდებლად არა თუ კოკობი ვარდი მოწყვიტოს, არამედ ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს ყვავილნარი, როგორც ამას ხშირად ჩადიან ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე მოხეტიალე „ძმა-ბიჭები", როცა „ხოში" მოუვათ.

მშობლებმა დალოცეს ახალი ოჯახი. კოკობმა ვარდმა იხარა. გაიფურჩქნა. გამოიღო ნაყოფი და გაჩნდა კოკორი—პატარა ვაჟიშვილი.

ესეც ახალი სიხარული ბებიას და ბაბუას... შვილისშვილი, მოგეხსენებათ, ზო[illegible] უფრო მეტად უყვარდებათ ხოლმე მოხუცებს.

მაგრამ, როგორც სინათლეს თან სდევს სიბნელე, ისე სიხარულს—მწუხარება. ვაი და ვიში. იაკინთე და ეკატერინე ქავთარაძეების უნივერსიტეტ დამთავრებული, მოსწრებული შვილი ინჟინერი აღმოჩნდა ცუღლუტი: მან გაიწყვიტა შუბლის ძარღვი, მიატოვა კოკობი ვარდიც, ვარდის კოკორიც — ცოლიც, შვილიც და მოქუსლა მოსკოვისაკენ.

მეუღლე ანაპოდისტო კილურაძის ასული თავისი პატარა ვაჟით სავსებით სამართლიანად მიმართავს სასამართლო ორგანოებს და მოითხოვს, როგორც წესია. სარჩოს—ალიმენტს.

ტფილისის გაერთიანებული სახალხო სასამართლო ჩავარდა ჰაპან-წყვეტაში: სად ეძებოს შვილის მამა საბჭოთა კავშირის ამ ვეებერთელა სივრცეზე? მოსკოვში წავიდაო, მერე რამდენია მოსკოვი!? ან ვინ იცის რამდენია იქ ქავთარაძე? ეს მეტად ძნელი ამოცანაა.

და სასამართლომაც გვერდი აუარა ამ სიძნელეს და საკითხი მარტივად გადასჭრა: აგერ არ არიან ბავშვის ბებია და ბაბუა? ბაბუა იაკინთე ქავთარაძე აგერ მსახურობს „ყურისძირში" — საქმინწყლების ტრესტის ბუხჰალტრად. ალიმენტიც მან იხადოს, მორჩა და გათავდა! და სახალხო სასამართლოც ამხ. პ. ხარებავას თავმჯდომარეობით 15—16 აპრილს ადგენს:

> **„იაკინთე და ეკატერინე ქავთარაძეებს გადახდეთ შვილისშვილის სარჩოთ ა-წ. აპრილიდან თვეში 50 მანეთი, ხანამ მათი შვილი მოიძებნებოდეს მაძიებელ ანაპოდისტოს კილურაძის სასარგებლოდ. მათვე გადახდეს სასამართლოს ბაჟი 50 მან. 40 კაპ. ხაზინის სასარგებლოდ".**

— რასაკვირველია მე არაფერი მშურს შვილიშვილისთვის, რითაც შეიძლება დავეხმარები, მაგრამ მე უკვე ხანში შესული კაცი ვარ, სარჩენი ისედაც ბევრი მყავს... კეთილი ინებეთ და მოძებნეთ იგი ცუღლუტი ბიჭი... აი მე მაქვს ოფიციალური ცნობა მოსკოვის სამისამართო მაგიდიდან. აი მისი ზუსტი მისამართი...— ლაპარაკობს გაკვირვებული ბაბუა.

არაფერი არ სჭრის სასამართლო **უყურადღებოთ სტოვებს ბაბუას ჩივილს.**

— რა ქნას ბაბუამ?

ამაზე ალბად საქ. უზენაესი სასამართლო იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას.

ზერმან შუბიძე.

□ □ □

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

განათლების კომისარიატმა ფართოდ გაშალა სამზადისი ახალი სასწავლო წლისათვის. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 10 ივლისს გაიხსნა რესპუბლიკური კურსები: თელავში — ქართული ენისა და ლიტერატურის — 200 კაცისათვის; მანგლისში — 150 კაცისათვის. ახალციხეში — ისტორიისა და გეოგრაფიის — ნაცუმცირესობათა სკოლების 140 მასწავლებლისათვის.

20 ივლისს ბორჯომში იხსნება კურსები ოსურ დაწყებითი სკოლების 40 მასწავლებლისათვის.

რესპუბლიკის ყველა რაიონში გაიხსნა 20 დღიური კურსები დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კურსებს 200-მდე კაცი გაივლის.

მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან ბინით, კვებითა და სასწავლო ნივთებით. კურსების შესანახად განათლების კომისარიატმა 420 ათასი მანეთი გადასდო.

ტფილისის ზოოპარკში

ტფილისის ზოოპარკი ამ დღეებში მოელის ჭაობისა და წყლის ასზე მეტ სხვადასხვა ჯიშის ფრინველს. მათ მოსათავსებლად ზოოპარკის ტერიტორიაზე შენდება ახალი განყოფილებები.

ზოოპარკმა უკვე მიიღო ახალი ცხოველები: ნილგაუ (აფრიკა), შველი (ამერიკა), ანტილოპ-გნუ (ინდოეთი), დედალი ზებრა (აფრიკა) და რუხი-გნუ (ინდოეთი).

განზრახულია ზოოპარკის გადაკეთება ისე, რომ ცხოველები და ფრინველები გალიებში არ იყვნენ. ამ მიზნით მოეწყობა ხელოვნური განყოფილებები მხეცებისა და ფრინველების პირვანდელი სამშობლოს ილუზიის შესაქმნელად.

ზოოპარკის მეცნიერული მუშაკები მუშაობენ ჯიშების ნამატისათვის. დღემდე ამას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ დღეებში ლომმა ლეკვები დაყარა, რაც პირველი შემთხვევაა ტფილისის ზოოპარკში.

სურათზე: პონები ტფილისის ზოოპარკში.

ამიერ-კავკასიაში

აზერბეიჯანი

ახალი კადრები კასპიის სავაჭრო ფლოტს

ბაქო, 10 ივლისი. შესდგა ბაქოს საზღვაო ტექნიკუმის მსმენელთა მორიგი გამოშვება. კასპიის სავაჭრო ფლოტმა მიიღო 120 მაღალი კვალიფიკაციის, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული ახალგაზრდა შტურმანი და გემის მექანიკოსები. კასპიის ფლოტში საზღვაო განათლების სისტემის 54 წლის არსებობიდან პირველი შემთხვევაა, რომ გამოშვებულია 14 ახალგაზრდა თურქი შტურმანი შორეული მიმოსვლისათვის.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

ბაქო, 10 ივლისი. ბაქოში იხსნება რაიონული საკოლმეურნეო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ორთვიანი კურსები, საკოლმეურნეო ანგარიშწარმოების განხრით.

კურსებზე საქართველოდან გამოიგზავნება საკოლმეურნეო სკოლის 10 მასწავლებელი იმ რაიონებიდან, სადაც თურქული მოსახლეობა სჭარბობს.

მეცადინეობა კურსებზე დაიწყება 15 ივლისს.

სატელეფონო ქსელი

კიროვაბადი, 10 ივლისი. კიროვაბადში (ყოფ. განჯა), მთავრდება ახალი სატელეფონო ქსელის მოწყობა. უკვე დაგებულია 8 ათასი მეტრი მაგისტრალური და 10.650 მეტრი განშანაწილებელი კაბელი. ქსელის დამონტაჟება დამთავრებულია 94 პროც. პირველი აგვისტოსათვის ქალაქში დაიდგმება პირველი რიგის 1060 ტელეფონის აპარატი 2.160 ტელეფონის საერთო რაოდენობიდან უკვე დამთავრებულია 300 ახალი ტელეფონის დადგმა.

სომხეთი

მუშათა ახალი უბანი

ერევანი, 10 ივლისი. მაზმანიანის საარქიტექტურო სახელოსნოში არქიტექტორმა მ. ბაბაჯანიანმა დაამთავრა პროექტის შედგენა მაიმუჯუხის მინქაფის (ერმზის) მაღაროების მუშათა საცხოვრებელი ახალი უბნის მოსაწყობად.

უბანი ნავარაუდევია 20 ათასი მცხოვრებისათვის. უბანში აიგება კინოთეატრი 450 მაყურებლისათვის, სტადიონი, კულტურისა და დასვენების პარკი, საავადმყოფო, საბავშო მოედანი, სკოლა, აბანო და სხვ.

სტუმრად საბჭოთა კავშირის საუკეთესო ტრაქტორისტთან

ერევანი, 9 ივლისი. ერევნიდან სტალინგრადის მხარეში, სუროვიკის მტს-ის ნ. შესტოპალოვის ბრიგადასთან გაემგზავრნენ სომხეთის 5 საუკეთესო ტრაქტორისტები, რომლებიც აირჩიეს სომხეთის წარჩინებულ ტრაქტორისტთა პირველ შეკრებაზე.

გზაში სომხეთის ტრაქტორისტები ეწვევიან როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას, ხოლო უკან დაბრუნებისას დაათვალიერებენ ბაქოს ნავთის სარეწაოებს.

გაზიანი წყალი ცხელი საამქროს მუშებს

სტალინის სახელობის წევის დარგის სარემონტო ქარხნის ცხელი საამქროების მუშებისათვის დადგმულია კიოსკი გაზიანი წყლებით. ყოველდღე ცხელი საამქროების მუშები უფასოდ ღებულობენ 2 ნახ. ლიტრ გაზიან წყალს.

სურათზე: სტალინის სახელობის წევის დარგის სარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროს მუშები სვამენ გაზიან წყალს.

სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველთა თათბირი

10 ივლისს სახ. ბანკის საქ. კანტორაში შესდგა გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრო საქ. სახელმწიფო ბანკის რაიონული განყოფილებების მმართველები.

თათბირმა მოისმინა სახ. ბანკის ა.-კ.-ის და საქართველოს კანტორის მმართველის ამხ. ნ. სუპონევის ვრცელი მოხსენება.

ამხ. სუპონევმა აღნიშნა სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის წინაშე მდგომი ამოცანები. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საქონელბრუნვის დაკრედიტების არსებული პრაქტიკის მოუქნელობას გაშლილი საბჭოთა კულტურული ვაჭრობის პირობებში. ვრცლად შეჩერდა კადრების საკითხზე და აღნიშნა ბანკის მუშაკების ადგილობრივად მომზადების აუცილებლობა.

□

კინო სახლებში

ტფილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ბინათკავშირმა ხელშეკრულება დასდო საქ. სახკინმრეწვთან ზაფხულში საბინაო - საიჯარო ამხანაგობების მომსახურებისათვის. თვითეულ გამოსვლელ დღეს, საბინაო-საიჯარო ამხანაგობის ერთერთი სახლის ეზოში ბინათ-კავშირის კულტმომუშავე დიასახლისებთან საუბარს გამართავს ბინების, საბინაო ამხანაგობების და სხვ. კულტურულად მოვლა-შენახვაზე. საუბრის დამთავრების შემდეგ, აჩვენებენ მხატვრულ ფილმს.

6 ივლისს ათარბეგოვის ქუჩაზე № 30 სახლში უკვე უჩვენეს სურათი „კომედიანტი ქალი". სურათის ჩვენებას დაესწრო 250-ზე მეტი დიასახლისი და მათი ბავშვები.

დღეს, 12 ივლისს ვარდისუბნის ქუჩაზე № 4 სახლის ეზოში აჩვენებენ „ჩაპაევს".

●

რიადნოვის სტუდიის 25 წლისთავი

გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვომ" აღნიშნა რიადნოვის ვოკალური სტუდიის (ტფილისშია) არსებობის 25 წლისთავი მუსიკალური კრიტიკოსი ჩემოდანოვი, აღნიშნავს, რა სტუდიის დამაარსებლის პროფესორ რიადნოვის დამსახურებას, იხსენიებს მთელ რიგ მის მოწაფეებს, რომლებიც ახლა მოსკოვის, ლენინგრადისა და ტფილისის საოპერო სცენაზე მოღვაწეობენ.

ამჟამად,—სწერს ჩემოდანოვი, — სტუდია განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ვოკალური კადრების მომზადების, ისე მშრომელთა ფართო მასებში კლასიკური მუსიკისა და თანამედროვე რეპერტუარის ნიმუშების პროპაგანდისათვის.

ხელოვნება

საზაფხულო სიმფონიური სეზონი

საზაფხულო სიმფონიური სეზონი წარმატებით მიმდინარეობს. ყოველ საღამოს საქ. ფილარმონიის ბაღში (ყოფ. „სტელა") საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები გვიჩვენებენ თავის ოსტატობას.

აღსანიშნავია, რომ წელს რუსეთის საუკეთესო მუსიკალური კოლექტივები ამიერ-კავკასიაში მუშაობენ: ბაქოში—ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი, დამსახურებული კოლექტივი, ხოლო ტფილისში—მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის ორკესტრი ისეთი მუსიკოსების მონაწილეობით, როგორიც არის ვიოლინოზე დამკვრელი პროფ. ლ. ცეიტლინი და სხვ. ამან თავიდანვე განსაზღვრა სიმფონიური კონცერტების ხარისხი.

სიმფონიის სეზონი გაიხსნა მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის **ა. მელიქ-ფაშაევის** გამოსვლით. ეს ნიჭიერი ტფილისელი მუსიკოსი მალე დაწინაურდა და ერთერთი თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა საბჭოთა მუსიკალურ მოღვაწეებს შორის.

მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით სიმფონიის კლასიკური ნიმუშების გარდა შესრულებული იყო ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ერთი საღამო მიეძღვნა ა. სპენდიაროვის შემოქმედებას. მელიქ-ფაშაევი ამ უკანასკნელის ნაწარმოებთა ერთერთ საუკეთესო ინტერპრეტატორად ითვლება. ორივე საღამომ დიდის წარმატებით ჩაიარა.

მელიქ-ფაშაევი შეცვალა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ალ. გაუკმა.** გაუკი ჩვენში ცნობილია, როგორც თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა პროპაგანდისტი. თავის მეორე კონცერტის პროგრამაში მან შეიტანა სუიტა დ. შოსტაკოვიჩის ახალი ბალეტიდან. შოსტაკოვიჩი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა საბჭოთა კომპოზიტორებში, სამწუხაროდ, მის ნაწარმოებებს ტფილისი არც კი იცნობს. ამდენად ალ. გაუკის ინიციატივა მისასალმებელია. ჩვენ ველით, რომ დირიჟორი გაგვაცნობს ნაწყვეტებს დ. შოსტაკოვიჩის შესანიშნავი ოპერიდან—„მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტი".

გაუკის მეორე კონცერტზე სოლისტად გამოდიოდა მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალი **დ. გოლოვინი,** რომელმაც შეასრულა არია ჩაიკოვსკის ოპერიდან „მაზეპა". უნდა ითქვას, რომ დ. გოლოვინი, შესანიშნავი ხმის პატრონი მომღერალი, ღია ესტრადაზე ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ოპერაში. მკრთალად ჩაიარა მისმა პირველმა კონცერტმა.

შ.

●

ჭიათურის თეატრმა დაამთავრა გასტროლები

ჭიათურის მუშათა თეატრი პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით 8 ივლისს დაბრუნდა ჭიათურაში. თეატრის საგასტროლო წარმოდგენები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ქუთაისსა და ქ. ჯუღელში. ქუთაისში გაიმართა 13 წარმოდგენა, ჯუღელში—6. ორივე ქალაქში წარმოდგენებს 10 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველგან გულთბილად შეხვდნენ თეატრს და მისცეს მადლობის სიგელები.

●

საკოლმეურნეო თეატრის წარმოდგენა მარჯანიშვილის თეატრში

დღეს, 12 ივლისს, მარჯანიშვილის სახ. თეატრში სახ. საკოლმეურნეო მოძრავი თეატრი მართავს წარმოდგენას. დაიდგმება **„ქრისტინე"** სრულიად ახალი მონტაჟით. დადგმა რესპ. სახ. არტისტის **დ. კობახიძისა;** მხატვარი **ნ. ყაზბეგი;** მუსიკა რესპ. სახ. არტისტის **კ. ფოცხვერაშვილისა.**

□

450 ტურისტი

2 აგვისტოს გემ „ფონ-შტეიბენით" ბათომში მოელიან 450 გერმანელ ტურისტს. აქედან 150 კაცი ბორჯომში გამოვლით ტფილისში ჩამოვა. ტურისტები დაათვალიერებენ ქალაქს, ფაბრიკა-ქარხნებს, მუზეუმებსა და სამხედრო გზას დარიალამდე.

300 ტურისტი გაემგზავრება აფხაზეთში და აქედან იალტაში.

ჩვენი კურორტები

ბიბლიოთეკა

წყალტუბო

ძველად მწყემსის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი, მიწის გულიდან მოჩუხჩუხე სამკურნალო თბილი წყალი, მეგრულად წყალტუბოდ წოდებული, დიდხანს წარმოადგენდა უმნიშვნელო, მოუწყობელ კურორტს. უვარგისი საურმე გზები აკავშირებდა მას ქუთაისსა და ხონთან.

ზაფხულობით იქ ურმებით მიჰყავდათ ხოლმე ქარებით (რევმატიზმი) დავრდომილები და ქალური სენით დაავადებულნი, მოჰქონდათ თან საგზალი და ხშირად ცის ქვეშ, ან დახურულ, ლოგინდაგებულ ურემში ათევდნენ ღამეებს. იქ თბილი წყლის გუბეებში ეყარნენ ისინი საათობით, მცხუნვარე მზის ქვეშ. ამგვარად იღებდნენ სამკურნალო წყლის აბაზანებს და ბოლოს სრულიად განკურნებული და განხორებული ბრუნდებოდნენ შინისაკენ.

სისხლიანი ცარიზმისა და შოვინიზმით გაელენთილი მენშევიკების ბატონობის დროს წყალტუბო სულ უყურადღებოდ იყო მიგდებული. იქ მხოლოდ ორიოდე ქოხი იდგა და რამდენიმე სამიკიტნო, რომელთა მიზანი და დანიშნულება მხოლოდ მოსულ მოაგარაკეთა ექსპლოატაცია იყო და არა მათი მომსახურება. კურორტს აზნაური იისელიანები ჰფლობდნენ.

●

სულ სხვაა დღეს წყალტუბო. ის თავისი სიმშვენიერით და სისუფთავით მშრომელთა ყურადღებას იმჰყრობს და აჯადოვებს მას.

წყალტუბოს ამწვანებულ გორაკებზე, ფერდობებსა და დაბლობში გაშენებულია ორ-სამსართულიანი თეთრი ქვის სახლები, გაყვანილია წყალსადენი და საწრეტი არხები, მოასფალტებულია ქუჩები, მუშაობს სახერხი ქარხანა წარმოიებს საშენი ქვის ტეხა და უზარმაზარი შენობების აგება.

წელს მრავალი მოაგარაკე მოაწყდა წყალტუბოს, არსებული ბინები ვერ აკმაყოფილებს მსურველთა ნახევარსაც კი. საჭიროა ბინათ აღმშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერება, გაფართოება.

სიმონ ქვარიანი.

□

შემთხვევები

● **ავარია** 300 არაგვილის დაღმართზე, 10 ივლისს, დღისით 6 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რ[illegible]აც მართავდა მთვრალი ვატმანი ტ. [illegible]ლისნოვი. დაეჯახა წინ მიმავალ საბარგო ავტომანქანას № 9—86 და საგრძნობლად დააზიანა. შოფერი ჰონიაშვილი დაშავდა. დაზიანდა აგრეთვე ტრამვაის ვაგონი. ვატმანი დაპატიმრებულია.

● **ავტობუსში** ჩაჯდომის დროს ლენინის ქუჩაზე მოქ. რ. ტ. ხაბალაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 600 მანეთი. ჯიბგირები ნ. ა. ცომაია და ვ. გ. მანველოვი დააპატიმრეს. ფული პატრონს დაუბრუნეს.

● **ხულიგნობისათვის** შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს ე. ს. გასპაროვი (სვერდლოვის ქ. 14) და ე. ხ. გრიგორიანი (გონჩაროვის ქ. 41).

● **წყალში დამხრჩვალის პოვნა.** სოღანლუღის რაიონში მტკვრიდან ამოიღეს დამხრჩვალის გვამი. როგორც გამოირკვა, დამხრჩვალი გრ. ნ. მოსეიძეა 35 წლისა, მცხოვრები ლორიანტების შეს. № 1. გამოძიება წარმოებს.

□

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება სახელგამის შემდეგი გამოცემანი: **ალ. ტოლსტოის** — პეტრე პირველი; (**მოპასანის**—ფუნთუშა; **ჩ. დიკენსის** — დავით კოპერფილდი; **შარდენის**—მოგზაურობა საქართველოში; **ს თოდრიასი** — ძველი და ახალი ამბები; **გ. ნახუცრიშვილის** — სილვა ვასალევა.

□

პარტკალენდარი

— **ლენრაიკომის** პარტკაბინეტი იუწყება, რომ 13 ივლისს, საღამოს 7 ს., ლენინის რაიკომის შენობაში შესდგება საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ახალაძის მოხსენება თემაზე: „კომკავშირის მუშაობის გარდაქმნის შესახებ".

□ □ □

სასამართლო

ალაზნიდან ლენინგრადამდე

1930 წლის ივნისია. „ალაზანჰესის" სამუშაოებს ხეტყე სჭირია. ხეტყე რაჭაშია და ზაფხულში რაჭა ალაზანსაც სჯობია..

— მაშასადამე, ხეტყეს იქ დავამზადებ და, რაღა თქმა უნდა მეც ბევრს გამოვრჩები.—სთქვა ეს და ამბროლაურის რაისტყეთ სამმართველოში გაჩნდა **იოსებ ვასილის-ძე იაშვილი.** ამბროლაურის რაისტყეს მუშაკები მან ადვილად შეიყვანა შეცდომაში და მიითვისა 5000 მანეთი.

რამდენიმე კვირის შემდეგ კახეთიდან ტფილისში მომავალ მატარებელში ზის იოსები. ჩამოვიდა ტფილისში თუ არა, თავისი „მოღვაწეობის" ენერგიულად გაშლის მიზნით მოეწყო „ზაკენერგოსტროის" მატერიალური ნაწილის გამგედ. გავიდა რამდენიმე თვე და 1930 წლის დამლევს ანგარიშის შემოწმებისას დაირიცხა 11.641 მან. მოსთხოვეს დანაკლისის დაფარვა. მუდამ გვერდს უხვევდა ამ მოთხოვნას, მაგრამ 1931 წლის თებერვალში გაუყენეს გამსახლის გზას. ძაღლის ბედი აქვს იოსებს. მოხდა — „ზაკენერგოსტროის" ლიკვიდაცია და სასამართლომაც საქმე მოსპო.

თავისუფალია იოსები. ეძებს სამუშაოს. მაშასადამე „საკბილოსაც". მიადგა საქართველოს სარეწაო კავშირს და აქ სამთოსაამშენებლო გაერთიანების პ.-მგ. მომმარაგებლის თანამდებობაზე მოეწყო.

— მოვამარაგო თუ მოვიმარაგო?—დასვა ასე საკითხი და სწრაფად გადაწყვიტა, მოვიმარაგოო.

ხეტყე დასჭირდა იაშვილს, მაგრამ ფულს ხომ არ გადიხდის! ეს მას არ შეჰშვენის. თუ ეს „უბრალო" რამ არ გამოკვეჭა და ვისმე არ გამოსტყუა, მაშ რისას კონტრაბანდისტი იყო 1926 წელს? ხაზვითი ხომ შეირჩინა 1927 წელს აფერისტობა, 1928 წელს გაფლანგვა, 1931 წელს თაღლითობა და კიდევ გაფლანგვა! განა ახლა ხე-ტყის დამამზადებელ არტელს ვერ გამოსტყუებს მასალას. უცებ გაჩნდა ჰაერო-ფოტო-გეოდეზიურ ტრესტის სამმართველოში და სამთო საამშენებლო გაერთიანების სახელით გამოიტანა 320 ფუთი ლურსმანი. ფულის შეტანა, რაღა თქმა უნდა, აცალეს ოფიციალურ პიროვნებს. ლურსმანი გადაიტანა ხეტყის დამამზადებელ არტელში, საიდანაც სამთო-საამშენებლო გაერთიანების სახელით გამოიტანა 667 მანეთის ხეტყე. და გაიხმარა პირადი საჭიროებისათვის; არტელს ფული უნდა—დაუტოვა 200 ფუთი ლურსმანი, ხოლო 120 ფუთი 6000 მანეთად მიჰყიდა წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

არხეინად იყო იოსები. მაგრამ ჰაეროფოტო-გეოდეზიურმა ტრესტმა სამთო-საამშენებლო გაერთიანებას მოსთხოვა 5280 მან. და ლურსმნის ისტორიაც გამოაშკარავდა. იოსებს კი წარბიც არ შეუხრია. ეს ფულიც გადაიხადა რამდენიმე თვეში, საიდან? რითი?

ამ სკანდალის შემდეგ სამთო-საამშენებლო გაერთიანებაში გაჩერება არ ღირდა და აი 1932 წლის 1 დეკემბრიდან მუშაობს ტფილისში, მაგრამ ახლა უკვე სამხრეთ-ოსეთის კოოპერატიულ ორგანიზაციათა სავაჭრო წარმომადგენელია და აწარმოებს ოპერაციებს. ოპერაციებს უკეთებდა იგი აგრეთვე კოოპერატიულ თანხებსაც და ზნაურის კოოპერატივს შეუჭამა 37.696 მანეთი, ლენინგორის კოოპერატივს—556 მ. 85 კაპ. სოლქო კოოპკავშირს—1129 მ. სატყეო სამრეწველო მეურნეობას 13.000 მან.

1933 წლის მაისს გაფლანგვის გამო მოხსნეს და მოსთხოვეს ანგარიშის გასწორება, მაგრამ აბა, რას გამორჩებოდნენ.

— მომხსნეს? ეს ბლანკები აქა არა მაქვს? რად მინდა სამსახური?—სთქვა ეს და მოხსნიდან ორი თვის შემდეგ, აგვისტოში—„მოსტინუსტროის" წარმომადგენლობასთან დასდო ხელშეკრულება სამხრეთ-ოსეთის კოოპ. ორგანიზაციათა კავშირის სახელით 16 ტონა კართოფილის ჩაბარებაზე და მიიღო წინასწარ 3280 მანეთი. რამდენიმე დღის შემდეგ ასევე გამოსტყუა 3000 მანეთი კავშირგაბმულობის მუშათა დახურულ კოოპერატივს. სექტემბერშივე სამხრეთ-ოსეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის წარმომადგენელს კოტაევს გამოსტყუა 6200 მანეთი და შეჰპირდა ლურსმნის შეძენას.

ასე ცხოვრობდა და „მოღვაწეობდა" იოსებ იაშვილი. სტალინირის სავაჭრო ორგანიზაციები კი თხოულობდნენ ანგარიშის გასწორებას.

— ერთხელ მივქარე და ჰაერო-ფოტო-გეოდეზიურ ტრესტს გადავუხადე! ახლა უკვე ჭკუა ვისწავლე. არ ვიხდი! ამბობდა ი. იაშვილი.

მაგრამ ჩამოვიდა ტფილისში სამხრეთ-ოსეთის პროკურორი ამხ. ჯიოევი და მილიციელთან ერთად მიადგა ბინაზე დასაპატიმრებლად. იოსებს თვალიც არ დაუხამხამებია

— ჰაჟალუსტა, კი ბატონო! დაბრძანდით! ამ წუთში გამოვიტან საბუთებს. სამგზავრო ფულს და წავიდეთ!

და გავიდა მეორე ოთახში გავიდა და აღარ დაბრუნებულა გაიპარა მოხერხებულად.

ტფილისში არ დაედგომება იოსებს და აი, თავის ნათესავს ზურაბ ბლიას-ძე თავჩარაშვილს ჰოჰპარა პასპორტი № 198888.

— „პრაშჩაი ნაშ ტიფლის, პრაშჩაი, იდუ ვლენინგრად".

ღიღინებს იოსებ ლენინგრადისაკენ მიმავალ მატარებლის ვაგონში. გადაშალა პასპორტი და გადიხარხარა...

— ვახ. რა ახალგაზრდა ვყოფილვარ, ვინ დაიჯერებს?—მაგრამ არაფერია, სთქვა და თავჩარაშვილის პასპორტში დაბადების წელი 1910, გადაასწორა 1900 წლად და ჩავიდა ლენინგრადში. სასტუმრო „ოქტომბერში" დაიქირავა ერთი ოთახი გაეცნო დროებით მობინადრეებს. მათ შორის გაიცნო ვ. შორვაშიძე, კ. მიქაძე, კ. კანდელაკი, ვ. ლევიძე. მათ თავი გაეცნო, როგორც რიონჰესის მომარაგების უფროსის მოადგილე. დაჰპირდა ტყავის პალტოების გამოტანას და დასცინცლა 940 მანეთი.

მაგრამ... მაინც დააპატიმრეს. დასრულდა მისი ამბავი ალაზნის ველიდან ლენინგრადამდე! მას აღმოაჩნდა სხვადასხვა ორგანიზაციის და წარმოებების ბეჭედდასმული და შტამპიანი ბლანკები, რითაც სარგებლობდა და ბოროტად იყენებდა.

ამგვარი მოღვაწეობით იოსიბ ვასილისძე იაშვილს გაფლანგული აქვს 64.497 მანეთი

საქმეს გაარჩევს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მუსიკ-ჰოლის საზაფხულო თეატრი და ბაღი (პლეხანოვის პროსპ. № 123)

[illegible]

12 ივლისს — თეატრი — მუსიკ-ჰოლი
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

13 ივლისს
ქართული ესტრადის საღამო
მონაწილეობენ: პოეტი ი. გრიშაშვილი.

რუსთავ. თეატრის მსახიობები:
სახ. მსახიობი აკ. ვასაძე,
სახ. მსახიობი აკ. ხორავა,
[illegible],
სალარაძე და ჯაფარიძე
ი. ქანთარია,
ბ. შავიშვილი.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები:
სახ. მსახიობი ნ. გოცირიძე,
დამს. მსახ. ვ. ანჯაფარიძე,
ვ. გოძიაშვილი,
ილურიძე და გომელაური.

სახფილარმონიის მსახიობები:
დამს. არტ. მ. კავსაძე,
მ. თარხნიშვილი,
ვ. [illegible]ნაძე,
კონფერანსიე
ვ. გოძიაშვილი.

ადგილების ფასი 2-დან 10 მანეთამდე.
დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.

ოქტომბერი 7, 9, 11	ლეონიდ უტესოვი, ლ. ორლოვა ხმოვან კომედიაში მხიარული ახალგაზრდობა
დამკვრელი 6-30, 8 9-30 11	სახამთ.—ალიონას სიყვარული საზაფხ.—ორი მამის ქალიშვილი
ტემპი (საზაფხ. [illegible] 9, 11	პრემიერა, ხმოვანი ფილმი სრულწლოვანება პროგ. გარეშე—ხმოვ. ჟურნალი № 15
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30 8-30. 10-30	პეტრე ვინოგრადოვის კერძო ცხოვრება პროგ. გარეშე—ხმოვ. ჟურნალი № 16
ე თ ე რ ი (საზაფხ.) 9 10-30	უკრაინუკ. დღ. სახდრამ. კომედია ქალა წყალჯომარდი
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	სახამთ.—ხმ. სურ. [illegible] საზაფხ. იხატ. ფილმი—ა ლ ი მ ი
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30	მხატვრული სურათი ესკადრის დაღუპვა

ტფილისის სარეწკოოპერატიული არტელი
„დახმარება"-ს ლიკვიდაციის გაკო,
13 ივლისს დღის 12 საათზე, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძეხვის ქარხანა, მოწყობილობით და ინვენტარით.
თუ რაიმე მიზეზით ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ ის გადაიდება 15 ივლისისათვის დღის 12 საათზე.
მისამართი: თულუზის ქ. № 3.
8860
ლიკვიდკომი.

დამწუხრებული პარმენი ცოლშვილით თამარა, მარო, მურმანი ძმებით ვარდენი და ალექსანდრე ისაკაძეები იუწყებიან ძვირფას მეგობრის
ბრიშა მუსერიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება კურსანტების შესახვევი № 11, დაკრძალვა 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე.
8863

ცოლი სოფიო შვილებით: შურა, ოლღა, ძმა კოსტია ცოლით ელენეთი და შვილი კოწიკოთი, დაი ვერა კიადიკოვები იუწყებიან
ალექსანდრე (საშა) კიადიკოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12 ივლისს 1 ს. წყნეთის ქ. № 49 ვერის სასაფლაოზე.
8871

გაუბედურებული მშობლები: მიხედორი, ლიმონა (პანტელეიმონი) დები: თამარი და იულია ბიბილაშვილები დაღუპულ საყვარელ აგრონომ
ლეო (ლევან) პანტელეიმონის-ძე
ბიბილაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ჯუღელში 14 ივლისს საღამოს 6 საათზე.
8865

ქმარი გიორგი კოხრეიძე, დაი საშა დიდიმოვა ქმარშვილით, ძმა გიორგი ელიაშვილი ოჯახობით, მაზლი სამსონ კოხრეიძე ოჯახობით იუწყებიან 12 ივლისს 6 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ბაშა ელიაშვილი-კოხრეიძის
სამოქ. პანაშვიდი.
8864

დები: ანა, მარიამი, ელენა, ძმები: ალექსანდრე, მიხეილი საბაშვილები, რძალი ასია, სიძე მ. ფირალიშვილი იუწყებიან
ექიმ მაგდანა ნიკოლოზის ასულ
საბაშვილის
გარდაცვალებას პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 13 ივლისს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. კეცხოველის ქ. № 4. (ყოფ. ლორის-მელიქოვის)
8866

ღრმად დამწუხრებულნი: მამიდა ცუცა ქმრით ვასილი გვენცაძეები შვილებით: არჩილ, ვლადიმერით იუწყებიან ელიავას სახ. საგზ. პოლიტექნიკუმის მე-3 კურსის სტუდენტის, ძვირფასი და საყვარელ გიორგი (ჟორა) ილიას-ძე
ლორთქიფანიძის
უდროოდ გარდაცვალებას.
8862

დამწუხრებული მშობლები: ელისაბედი, კალისტე, შვილებით: ვანო. ოლია. იოსებ. ქსენია. რძალი ნინა. ძმისშვილები: ნოდარი, ზინა იუწყებიან რომ 13 ივლისს 3 ს. ლენინსუთში დანიშნულია სამოქ პანაშვიდი
ნადია კერესელიძის
ხსოვნის აღსანიშნავად.
8867

გზათა მიმოსვლის ამხ. ელიავას სახელობის პოლიტექნიკუმი ღრმესი მწუხარებით იუწყება მე-4 კურსის საუკეთესო სტუდენტის
გიორგი (ჟორა) ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას.
8869

დამწუხრებული ქმარი ვლადიმერი, მშობლები: ამბაკო, იუსტინა, მაზლები: გრიგოლ, ნიკოლოზ, დიმიტრი, მული მარგარიტა უგულავები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს რძლის
ბაბუცა ხმელიძე-უგულავას
გარდაცვალებას გამოსვენება 12 ივლისს 1-ლი ახალშენის ქ. № 2.
8861

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34 ტელეფონები რედაქტორის 3—62—26. რედაქტორის მოადგილის 3—63—03. პასუხისმგებელი მდივნის 3—05—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24. პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61. სამრეწველო განყოფილების—3—73—40. ხაზინის 3—37—04. გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ. 8449.